წელიწადი მეხუთე | ხუთშაბათი, 26 თიბათვე 1919 წ. № 131 | ფასი 2 მან.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# საქართველო

რედაქცია

ხელნაწერი მასალა უნდა იყოს დაწერილი გარკვეულად და ერთ გვერდზე. წერილში უნდა აღნიშნული იყოს ავტორის ვინაობა და მისამართი. უპირობოთ გამოგზავნილი მასალა უფასოთ ითვლება. დაუბეჭდავი საგაზეთო მასალა არ ინახება და რედაქცია არავითარ მიწერ-მოწერას მის შესახებ არ კისრულობს.

რედაქცია ღიაა დილის 9—3 საათამდის, გარდა უქმე დღისა. სარედაქციო საქმეების გამო პირადათ მოლაპარაკება შეიძლება ამავ დროს.

კონტორა

„საქართველოზე" ხელის მოწერა მიიღება მხოლოდ სამი თვით და ღირებულება—120 მ. თვეში (მხოლოდ ქალაქში) 40 მანეთი. ცალკე № 2 მან. განცხადების ფასი სტრიქონი პეტიტისა პირველ გვერდზე 2 მ. უკანასკნელზე—1 მ. 50 კ. საქართველოს გარეშე მიღებულ განცხადებათა ფასი ორჯერ მეტია. ხამგლოვიარო განცხადება თითოჯერ 50 მანეთი. მისამართის გამოცვლა ღირს 5 მან. ფული და წერილები, რაც კონტორას შეეხება, უნდა გამოიგზავნოს კონტორის სახელზე. საჩქარო განცხადებანი უნდა მოტანილ იქნას არა უგვიანეს 1½ საათისა კონტორაში. კონტორა ღიაა დილის 10 საათიდან 3 საათამდე

მისამართი: თბილისი, სასახლის ქუჩა, № 5, ქართული ქარვასლა. ფოსტის ადრესი თბილისი, ფოსტის ყუთი № 76. ტელეგ. ადრესი: თბილისი, „საქართველო"

ტელეფონი რედაქციისა და კონტორისა 15—73

ღრმად დამწუხრებულნი მეუღლე ნინო იოსების ასული ბოცვაძისა შვილებით, დები ეფროსინე ესაკიასი, აკვირინე გრიგოლიასი, სიძე გიორგი მიხეილის ძე გრიგოლია, ცოლის დედა ელენე ანტონის ასული ვასაძისა შვილებით, აუწყებენ ნათესავთ და ნაცნობთ, რომ 24 ივნისს დღის პირველ საათზე მძიმე ავადმყოფობის შემდეგ გარდაიცვალა ძვირფასი და დაუვიწყარი

**ლუარსაბ გერასიმეს ძე ბოცვაძე**

პანაშვიდები ყოველ დღე საღამოს 6 საათზე ბინაზე (პირველი დუშეთის ტუპიკი № 4 ფიქრის გორა), გამოსვენება 27 ივნისს, პარასკევს დილის 9 საათზე, ქვაშვეთის ეკლესიაში. დაკრძალვა დიდუბის ეკლესიის გალავანში ქართველ მოღვაწეთა პანთეონში.

1—123—1

ვარლამ ამირანის ძე ბურჭანაძე, ეკატერინ იოსების ასული ბურჭანაძისა, აუწყებენ ნათესავთ და ნაცნობთ, რომ 24 ივნისს, დღის 1 საათზე გარდაიცვალა პირველის ქვისლი და მეორესი სიძე დაუვიწყარი

**ლუარსაბ გერასიმეს ძე ბოცვაძე**

გამოსვენება 27 ივნისს, პარასკევს, დილის 9 საათზე, ქვაშვეთის ეკლესიაში ბინიდან. დაკრძალვა დიდუბის ეკლესიის გალავანში ქართველ მოღვაწეთა პანთეონში.

1—123—1

ღრმად დამწუხრებული ბესარიონ გიორგის ძე ბოცვაძე მეუღლით ალექსანდრათი აუწყებს ნათესავთ და ნაცნობთ, რომ 24 ივნისს დღის 1 საათზე გარდაიცვალა საყვარელი და დაუვიწყარი აღმზრდელი ბიძა

**ლუარსაბ გერასიმეს ძე ბოცვაძე**

გამოსვენება 27 ივნისს, პარასკევს, დილის 9 საათზე ქვაშვეთის ეკლესიაში ბინიდან. დაკრძალვა დიდუბის ეკლესიის გალავანში ქართველ მოღვაწეთა პანთეონში. 1—123—1

აღმოსავლეთ საქართველოს მასწავლებელთა კავშირის მთავარი გამგეობა, ამით აუწყებს საზოგადოებას, რომ 24 ივნისს, დღის 1 საათზე გარდაიცვალა კავშირის მთავარი გამგეობის წევრი ჟურნალ „განათლების" რედაქტორ ხელმძღვანელი ცნობილი პედაგოგი

**ლუარსაბ გერასიმეს ძე ბოცვაძე**

პანაშვიდი ყოველ-დღე საღამოს 6 საათზე (პირველი დუშეთის ტუპიკი № 4, ფიქრის გორა), გამოსვენება 27 ივნისს, პარასკევს დილის 9 საათზე ქვაშვეთის ეკლესიაში, დაკრძალვა დიდუბის ეკლესიის გალავანში ქართველ მოღვაწეთა პანთეონში. 1—123—1

ალექსანდრე და კონსტანტინე ესაკიები, ევგენია ესაკიასი ღრმად დამწუხრებით აუწყებენ ნათესავებს და ნაცნობთ, რომ 24 ივნისს, დღის 1 საათზე გარდაიცვალა ძვირფასი და დაუვიწყარი ბიძა

**ლუარსაბ გერასიმეს ძე ბოცვაძე**

დაკრძალვა მოხდება 27 ივნისს, დიდუბის ეკლესიის გალავანში ქართველ მოღვაწეთა პანთეონში. 1—123—1

ქ. შ. წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების მთავარი გამგეობა ამით აცხადებს, რომ 24 ივნისს, დილის 1 საათზე გარდაიცვალა საზოგადოების საპატიო და მთავარი გამგეობის წევრი ცნობილი პედაგოგი

**ლუარსაბ გერასიმეს-ძე ბოცვაძე**

პანაშვიდი ყოველ დღე საღამოს 6 საათზე (ბინაზე პირველი დუშეთის ტუპიკი № 4 ფიქრის გორა). გაამოსვენება 27 ივნისს პარასკევს დილის 9 საათზე ქვაშვეთის ეკლესიაში. დაკრძალვა დიდუბის ეკლესიის გალავანში ქართველ მოღვაწეთა პანთეონში.

(1—23—1)

ხუთშაბათს, 26 თიბათვეს, საღამოს 7 საათზე, სამეურნეო ბანკის დარბაზში („ქართულ კლუბის" პირდაპირ) დანიშნულია **საქართველოს ეროვნულ დემოკრატიულ პარტის ქ. თბილისის**

მე-2 რაიონის (მე-2, 3 და 4 სამილიციო უბნები) წევრთა

**საზოგადო კრება**

დღის წესრიგია: 1) ის. ჯავახიშვილის მოხსენება და 2) მორიგი საკითხები.

**ქართული კლუბი**

ხუთშაბათს, თიბათვის 26 ს, გაიმართება

**საბავშო წარმოდგენა-კონცერტი**

თვით ბავშვების მონაწილეობით

ფასი 10 მან.—3 მან. დასაწყისი საღამოს სრულ 5 საათზე.

1—უ—1

მოიკითხეთ

საუკეთესო ხარისხის

**კონიაკი**

ძმ. კაიშაურებისა

მისამართი: ელისაბედის ქ., 117, ტელ. 9—77.

12—244—5

**დაიბეჭდა და გასასყიდად გამოვიდა**

**მიწის საკითხი საქართველოში**

ალ. ასათიანისა

თ. 1. მიწად მფლობელობის ფორმები; 2. მიწად მფლობ. საზოგადო და კერძო საკუთრებითი; 3. სახელმწიფოს სააგრარო პოლიტიკა; 4. მიწად-მფლ. მასალები, სახაზინო, საუფლისწ. და ხიზნების მფლობელობა; 5. კერძო მიწად მფლობელობა; 6. კერძო მიწად-მფლ. რაოდენობა და მიწის ფონდი; 7. მეურნეობის პირობები; 8. სოციალისტური პარტიების სააგრარო პოლიტიკა; 9. მეურნეობის დიფერენციაცია; 10. მიწის საკითხი ევროპის სახელმწიფოებში; 11. რევოლიუციური საგრარო პოლიტიკა; 12. ბოლოსიტყვაობა. წიგნის მიღება შეიძლება გაზეთ „საქართველოს" კანტორაში და ყველა წიგნის მაღაზიებში. 10—უ—1

**საქართველოს დამფ. კრების კანცელარია**

ამით აცხადებს, რომ დამფუძნებელ კრების სტენოგრაფიული ანგარიშები ამიერიდან „საქართველოს რესპუბლიკის" ხელის მომწერთ აღარ გაეგზავნებათ.

საჭიროა ერობებმა, ქალაქებმა და სხვა კერძო თუ საზოგადო დაწესებულებებმა დროზე აცნობონ სტენოგრაფიულ ოქმების რედაქციას (სასახლე, ოთახი № 29 ტელ. 6—18) გამოწერის სურვილი, რათა ჩაეწერონ. ხელის მომწერთა რიცხვში.

ფასი წლიურად და თითო ნომრის ცალკე გამოცხადდება.

3—121—1

**ქართული კლუბი**

6 მკათათვე

**დიდი სეირნობა-საღამო**

გაზეთ „საქართველოს" ფონდის გასამდიდრებლად.

საღამოს გამგე ნ. ე. წვერავა.

1—1

**განცხადება.**

საქართველოს რესპუბლიკის სამხედრო სამინისტროს ადმინისტრატიული განყოფილება აცხადებს, რომ ოთხს მკათათვეს, დღისით 12 საათზე, ხსენებულ განყოფილების შენობაში დანიშნულია პირადი და წერილობით დაბეჭდილ პაკეტებში

**საჯარო ვაჭრობა 25.000 თუშურ ქუდზე**

საქართველოს რესპუბლიკის ჯარისთვის. ვაჭრობა შეუძლიან იმათ ვისაც აქვთ საამისო კანონიერი უფლება. ვისაც ჰსურს მიიღოს მონაწილეობა პირად ვაჭრობაში უნდა წარმოადგინონ 4-ს მკათათვეს, 12 საათამდე საწინდარი არა ნაკლებ 5.000 მანეთისა და აგრეთვე განცხადებანი რომელშიც უნდა აღნიშნონ თავისი სურვილი პირად ვაჭრობაზე და ისიც რომ კისრულობენ თუშური ქუდების ჩაბარებას თანახმად პირობებისა და დამტკიცებულ ნიმუშისა. ყველა წარმოდგენილ განცხადებაზე დაკრული უნდა იყვეს ორი თითო მანეთიანი ღერბის მარკა.

ვისაც ჰსურს ვაჭრობაში მონაწილეობის მიღება დაბეჭდილ პაკეტებით თავიანთ განცხადებაში უნდა აღნიშნონ უკანასკნელი გადაჭრილი ფასი თითო თუშურ ქუდზე და ეს ფასი უნდა იყვეს დაწერილი ან დაბეჭდილი სიტყვებით და არა ციფრებით და აგრეთვე წარმოადგინონ იგივე საწინდარი 5.000 მანეთი, დანარჩენი პირობები იგივეა როგორც პირადი მოვაჭრეებისა. პირობებისა და თუშური ქუდის ნიმუშისა ნახვა შეიძლება ყოველ დღე გარდა კვირა უქმე დღეებისა 10 საათიდან 2 საათამდე სამხედრო სამინისტროს ადმინისტრატიულ განყოფილებაში. ბარიატინსკის ქუჩა № 10.

(3—119—2)

**ევროპიულ-კავკასიური სავაჭრო ბანკი ყოფილი გერმანულ-კავკასიური ბანკი**

განაგრძობს თავის ოპერაციებს ბანკის წესდების მიხედვით

**ნაღდ ფულზე**

## ახალი დიდი სომხეთი

გამოირკვა თუ არა ანტანტის სახელმწიფოების საბოლოო გამარჯვება და რომ წვრილ ერთა ბედ-იღბალი საერთოდ მათ ხელში იყო გადასული, სომხეთის ოფიციალურ ხელმძღვანელებმა გეზი გადაჰკრით საფრანგეთზე აიღეს და მისი მფარველობით დაიგულვეს დიდი სომხეთის აღდგენა. საფრანგეთის პრესა და საზოგადოებრივი აზრი ამ პოლიტიკის სასარგებლო ინფორმაციით იკვებებოდა. სომხეთის დელეგაციამ პოღოს-ნუბარ-ფაშის მეთაურობით წარდგენილ მემორანდუმში დიდი სომხეთის საზღვრებიც ამოხაზა, რომელ საზღვრებშიც, როგორც ვიცით, შეტანილია საქართველოს ტერიტორიის სამხრეთი ნაწილები იმდენად გაზვიადებული გამოჩნდა სომხეთის დელეგაციის ტერიტორიული მადა, რომ კარგად განწყობილმა ოფიციოზმა, გაზეთმა „ტანმაც" ამის წინააღმდეგ გაილაშქრა და მეტი ზომიერება ურჩია. დროთა განმავლობაში სომხეთმა სიმპატია შეიცვალა და საფრანგეთი ამერიკაზე შესცვალა. უკანასკნელ დრომდე სომხური წყაროები ბეჯითად და ენერგიულად ირწმუნებოდენ სომხეთის ბედის ამერიკის მფარველობის ქვეშ შებუდებას. მაგრამ ვინაიდან პარიზის კონფერენცია თავის ეკილიბრს მოკლებულია და მისი პოლიტიკური მიზნებიც და მოქმედებანიც იცვლებიან, ამიტომაც სამფარველოთ ჩარიცხული ქვეყნებიც ერთი მოკავშირის ხელიდან მეორე მოკავშირის ხელში გადადიან. ცნობა მოვიდა, რომ ინგლისმა შესცვალა თავის პოლიტიკა ოსმალეთისადმი, და რომ მას უნარჩუნებს მისი აზიის ტერიტორიის ნაწილს, რომ პარიზის კონფერენციას სურს აღადგინოს დიდი სომხეთი და რომ ამ სომხეთის მანდატურობა საფრანგეთს უნდა ხელში ჩაიგდოს. ამავე ცნობით, პარიზის კონფერენციას განზრახვა აქვს დიდი სომხეთის საზღვრებში თურმე ბათუმიც მოაქციოს.

ჩვენ არ ვიცით პარიზის კონფერენციის ეს აზრები ოსმალეთისა და სომხეთის შესახებ საბოლოო გადაწყვეტილების სახეს მიიღებენ, თუ ახალი აზრებით შეიცვლებიან. მაგრამ თუ სახეში მივიღებთ იმ გარემოებას რომ საფრანგეთს დიდი ინტერესები აქვს ოსმალეთში, რომ იგი მთელი ორასი წლის განმავლობაში ილვწოდა მცირე აზიაში და დიდი გავლენაც განიმტკიცა როგორც თვით სირიაში, ისე სირიიდან მოყოლებული მოსულის ვილაეტის გაყოლებაზე ურმიის ტბის ნაპირებამდე, უნდა ვიფიქროთ რომ ამერიკასთან შედარებით უპირატესობა საფრანგეთის ტრადიციულ ინტერესს და გავლენას დარჩება და დიდი სომხეთის მანდატერობაც უფრო მას მიეკუთვნება, ვიდრე ამერიკას. თვით საფრანგეთი შეეცდება ამ მიმართულებით იმოქმედოს და მიზნის მიღწევა არ გაუძნელდება, რადგან ამერიკას ამ მხარეში საქმიანი საბუთები სრულებით არ აქვს და ამას არც დაეძებს. ამგვარად საფრანგეთი თავის ხელქვეშ გააერთიანებს სირიას და სომხეთს და თავის ეკონომიურ პოლიტიკურ გავლენას მცირე აზიაში მაქსიმუმამდე აიყვანს.

თუ ყველაფერი ეს საფუძვლიანია და პარიზის კონფერენციის აზრი ამ მხრივ გასაგები, სამაგიეროთ სრულიად გაუგებარია მისი განზრახვა, რომ ბათომი მოაქციოს დიდი სომხეთის საზღვრებში!

ბათომი და სომხეთი!

ეს იმდენად ოდიოზური აზრია, იმდენად წინააღმდეგობა ყოველგვარ გონიერებას, ისტორიულ სიმართლეს და დღევანდელ სინამდვილეს, რომ ასეთი დიდი სომხეთი, რომელშიც ბათომი და ბათომის მხარე იქნება მოქცეული, ერთ დღესაც ვერ იცოცხლებს. ასეთ დიდ სომხეთს შეიძლება სომხეთიცა თან გადაჰყვეს და ბევრი სხვაც. ჩვენ გვგონია რომ პარიზის კონფერენცია ცინიზმის პრინციპზე ვერ ააგებს სახელმწიფოებს და მათ ტერიტორიებს. ხოლო ყველა სხვა პრინციპის ძალით ბათომი და ბათომის მხარე სომხეთში კი არ შევა, არამედ საქართველოში.

## შინაური საფრთხე

გარეშე საფრთხემ მთლად მიიპყრო მმართველი წრეებისა და საზოგადოების ყურადღება.

ყოველთვის ასე ხდება: რომელიმე დიდი მოვლენა სჩრდილავს სახელმწიფოებრივ ცხოვრების დანარჩენ მხარეებს და რამოდენიმე ხნით საზოგადოების მზრუნველობის საგნად ისახება.

ჩრდილოეთის საფრთხე ისეთ საშინელ კატასტროფას უმზადებდა საქართველოს, ისეთი სიმკაცრით დაატყდებოდა თავს ჩვენი სამშობლოს თავისუფლებას და ისე გაანადგურებდა ქართველი ერის ყოველივე მონაპოვარს, რომ მასთან შეუდარებელ იქნებოდნენ თვით არაბთა და სპარსთა წინადროების შემოსევანი! ამიტომაც იყო, რომ საქართველოს სახელმწიფოებრივი და მილიტარული ენერგია უკიდურესად გაძლიერდა მრისხანე და შურის-მაძიებელ მტრის დასახვედრად.

ასეც უნდა მომხდარიყო, რადგანაც სხვაფრივ ვერავითარი გარანტიები საშუალებანი ვერ იხსნიდნენ ჩვენს ქვეყანას წალეკასა და განადგურებისაგან.

მაგრამ გართულებულმა საგარეო მდგომარეობამ არ უნდა დაგვავიწყოს სახელმწიფო ყოფა-ცხოვრების ყოველდღიური მოთხოვნილება და საჭიროებანი; დაუსვენებლივ უნდა მოქმედებდეს და მოძრაობდეს სახელმწიფო მექანიზმის ყოველი ვინტი; არ უნდა შეჩერდეს ძალდატანებითი აპარატი, და რამდენადაც უფრო მეტია გარეშე, თუ შინაგანი წესიერებისა დამყუდროების დამრღვევი ფაქტორი, მით უფრო უნდა გამკაცრდეს მუშაობა ყოველ სფეროში.

ვერავინ იტყვის, რომ რესპუბლიკის მდგომარეობა უკანასკნელ თვეებში გამოკეთებულიყოს, ან მცირეოდ მაინც მოწესრიგებულიყოს! ზოგიერთ წრეებში დიდ იმედებს ამყარებდნენ დამფუძნებელ კრებაზე და დარწმუნებულიც იყვნენ, რომ „საქართველოს უზენაეს ბრძანებლის" მოწვევისთანავე მყისვე გარდიქმნება სისტემა მართვა-გამგეობისა და სოფლად თუ ქალაქად გამეფებულ უთავბოლობასა და ანარქიას წესიერება შესცვლის.

„ერის პატრონი" ოთხი თვეა ილვწის და საქმიანობს, მრავალ საშუალებას მიჰმართავს აწეწილ ცხოვრების გასაუმჯობესებლად, მაგრამ—ვერ იქნა და ვერა! ვერ ჩავსვით სახელმწიფო კალაპოტში, ვერ მივეცით „ქვეყანას მშვიდობა და კაცთ-სათნოება!" პირიქით გულ-დაწყვეტილნი ვხედავთ, როგორ ვუახლოვდებით სახელმწიფო კრიზისს...

უმთავრესად აზიანებს რესპუბლიკის ნორმალურ განვითარებას ჩვენი ცხოვრების ორი მხარე: პროვინციის მოუვლელობა და ფინანსიური ნამდვილი კატასტროფა! ეს ორი მხარე ჩვენი სახელმწიფოს „აქილესის ტერფია" იმთავითვე და თუ წინსვლაში წაბორძიკება გვიწერია, შეიძლება გადაჭრით ითქვას, რომ დიდი წილი ამ ელემენტებს მიეკუთვნებათ...

წესიერება არ არის სოფლად საქართველოში: ყაჩაღობამ, კაცისკვლამ, თვითნებობამ ჩაახჩო მოქალაქობრ. ვ

# უკანასკნელი ცნობები

**გერმანელებმა განაცხადეს რომ ხელშეკრულებას ხელს მოაწერენ იმ პირობით რომ გერმანია ომის დაწყებაში ერთად ერთ დამნაშავედ არ აღიარებს თავს და მეფის ყველა მრჩეველს და ყველა გენერალს სასამართლოზე არ გადასცემს.**

**გერმანელებმა ახალი ნოტით მოითხოვეს დროს განგრძობა, 48 საათით. მოკავშირეებმა უარით უპასუხეს.**

**ბოლშევიკებმა პეტერბურგის ფრონტზე შეტევა დაიწყეს.**

---

ცხოვრების ჩანასახი ჩვენს პროვინციაში. რედაქციას აუარებელი ცნობები მოსდის ამიერ-იმერეთიდან მშვიდობიან მცხოვრებთა შეწუხებისა! გვჯეროდა, ერობები მხნედ გაუძღვებოდნენ სახალხო საქმეს და წინასწარი ზომებით დააშოშმანებდნენ აზვირთებულ სოფელს, მაგრამ, საუბედუროდ, აქაც მოვსტყუვდით: პროვინციამ არ გაამართლა ოპტიმისტების იმედი და დღესაც ღელავს და შფოთავს!

ისიც კი ვერ მოხერხდა ამ ხნობამდე, რომ სოფლის გლეხობა სახელმწიფოს ხარჯებში ჩაგვება! გადასახადს არავინ იხდის საქართველოს მთელს მიწაწყალზე! ყოველივე მოვალეობას მოცილებული სახელმწიფოს წინაშე, მოქალაქე უმეტესად გაურბის ფინანსიურ მოვალეობის აღსრულებას! გლეხი, ცხადია, ნათლად ვერ შეიგნებს იმ მცნებას, რომ მის კერძო ინტერესებისთვისაც მიუცილებელია გადასახადების რეგულიარულად შეტანა. და ხაზნის მოღონიერებას თან მოჰყვება ხალხის კეთილდღეობა და უჭირველობა. ჯერ კიდევ ბევრმა ჟამმა უნდა განვლოს, რომ სახელმწიფოებრივი შეგნება და მოვალეობა ფართო საზოგადოებაში დამკვიდრდეს და გადადუღდეს. საარჩევნო ყუთებთან შეკვეთილად მისვლა და პირველი ნომრის ბიულეტენების ჩაყრა, როგორც სჩანს, არ ყოფილა საკმაო მაჩვენებელი ქართველი დემოკრატიის სიმწიფისა და სოციალ-პოლიტიკური მომზადებისა. ის კი აშკარაა, რომ სახელმწიფოს შენებას და პოლიტიკურ თვითარსებობის განმტკიცებას ხალხი ჯეროვნად არ ეხმარება.

ფინანსიური უკიდურესი კრიზისი მხოლოდ საერთო პოლიტიკურ მდგომარეობით ხომ არ აიხსნება: ვერც საერთასორისო პირობები და ვერ მით უმეტეს, თავაღებული უსინიდისო სპეკულიაცია, ყველა წრეებს ეპიდემიურად რომ აქვს მოდებული, ვერ მოჰხრის სახელმწიფოს ფინანსებს და ვერ შეარყევს ერის ეკონომიურ საფუძველს უკეთუ სახელმწიფოს შინაგანი მდგომარეობა სხვა მხრივ დამაკმაყოფილებელია! წესიერად დამუშავებულ სახელმწიფოში ადვილად გამონახება ფინანსიურ გაჭირვების შემსუსტებელი მოვლენანი და ერთი მათგანი არის რაციონალური გადასახადის სისტემა, რომელსაც საგნათ აქვს სახელმწიფოში ფულის წესიერი ცირკულიაცია. რა გაკეთებულა ამ მხრივ? თითქმის არაფერი! საერთო უყურადღებობის გარდა, ერთი ბოროტი მოვლენაც აღსანიშნავია: გადასახადებს საქართველოში არ იხდიან! დამტკიცებისთვის რაღა შორს წავიდეთ, როდესაც რესპუბლიკის დედაქალაქის მცხოვრებთა 90 პროც. დაზღვეულია ფინანსიურ მოვალეობის შესრულებისაგან! ჩვენა გვაქვს სახელმწიფო გადასახადთა ცენტრალური მთავარი სამმართველო, გარდა ამისა მრავალრიცხოვანი ხარჯთა - საკრები ინსპექცია თავისი სპეციალურ აპარატით, მაგრამ გადასახადის ობიექტი საქართველოში ჯერაც უჩინარია! მართალია, გვპირდებოდნენ გადასახადის ინსპექტორებთან განსაკუთრებულ ხარჯთ-ამკრებ მილიციის დაარსებას, მაგრამ ესეც შეუსრულებელი დარჩა და დამშეულ ხაზინას ისევ ის დაულალავი დაზგა ასაზრდოებს...

ამას ბოლო უნდა მოეღოს: დაავადებული პროვინცია და ფინანსიური სიკოტრე ამაზე მრისხანე მტერი საქართველოს სხვა არ აღმოუჩნდება.

**რ. ინგილო.**

## ბრიტანეთის მთავრობის ნოტა

საქართველოს მთავრობის თავმჯდომარემ მიიღო წერილი, ამიერ-კავკასიაში მყოფ ინგლისელთა ჯარის მთავარსარდალის გენ. კორისაგან, სადემარკაციო ხაზის შესახებ დენიკინსა და ამიერ-კავკასიის რესპუბლიკათა შორის.

ინგლისელი გენერლის განცხადებით, ამ წერილში აღნიშნული სადემარკაციო ხაზი, დადებულია ბრიტანეთის მთავრობის მიერ და ამ ხაზის მიხედვით საქართველოს ჯარმა უნდა დაიხიოს მდ. ბზიპის სამხრეთით სოხუმის ოლქის საზღვარზედ.

ერთი კვირით ადრე, გენ. კორისაგან ესეთივე შინაარსის წერილი მიიღო აზერბაიჯანის მთავრობის თავმჯდომარემ და ჩვენ მაშინ უკვე გამოვთქვით ჩვენი შეხედულება ინგლისის მთავრობის ნოტის შესახებ.

ამ ნოტის შეწყნარებით ჩვენ ვსტოვებთ სრულიად სოჭის ოლქს, მთელს გაგრის მხარეს და ვეშვებით მდ. ბზიპის სამხრეთით. ე. ი. ჩვენ ვკარგავთ იმ ადგილებს, რომელიც ჩვენის დარწმუნებით, უდავო და აუცილებელი ნაწილია საქართველოს სახელმწიფოებრივ ტერიტორიალური სხეულისა.

ჩვენ უნდა დავსტოვოთ ის ადგილები რისთვისაც ამდენი ხნის დავა და შეუწყვეტელი ბრძოლა გვქონდა მოხალისეთა არმიის გენერალთან, და უნდა დაუთმოთ მას საუკეთესო სტრატეგიული პოზიციები, რომელთა გამაგრებამ აურაცხელი მსხვერპლი და ენერგია შეიწირა.

რატომ, რისთვის?

რა მოსაზრებით ხელმძღვანელობდა ბრიტანეთის მთავრობა, როდესაც ყოველივე მოლაპარაკების, თუ შორიგების გარეშე, ბრძანების მაღალი ტონით, უკან სწევდა ერთ მხარეს და საომო გამარჯვებას აკუთვნებდა მეორეს?

ჩვენ არა ერთხელ გამოგვითქვამს ჩვენი შეხედულება ინგლისის შესახებაც და საერთოთ ანტანტთან დამოკიდებულობაზედ.

ამ სახელმწიფოებსა და ჩვენს შორის არავითარი წინააღმდეგობა არ არსებობს და საქართველოს საზოგადოებრივ აზრის ურყევი მიდრეკილება დაამყაროს მათთან კეთილი და გულწრფელი განწყობილება;

და ამ სახელმწიფოთა მართველ წრეებსაც ჰქონიათ არა ერთი შემთხვევა ჩვენის ზრახვათა წადილის გაგებისათვის; სამაგიეროთ, ჩვენ ძალიან ცოტა საბუთები გვაქვს ვიფიქროთ რომ, თავის მხრით, ინგლისის მთავრობის აზრიც ამ სახითვე იხრება.

ინგლისის მთავრობის აგენტების მოქმედების პრაქტიკა სრულებით წინააღმდეგია იმ სურვილებისა, რომლითაც გამსჭვალულია საქართველოს გული და მისი იმედები; მთელი რიგი იმ აქტებისა, რომელიც მოხდა საქართველოში ინგლისელი სარდლობის ჩარევით, მიმართული იყო საქართველოს სასიცოცხლო ინტერესების წინააღმდეგ და აშკარა მიკერძოებით გამსჭვალული, ჩვენი მტრების სასარგებლოთ.

სომხეთ საქართველოს ომი, ახალციხე ფოცხოვის აჯანყება, არტაანის საკითხი, ბათომი და დაუსრულებელი ომები სოჭის ფრონტზედ, დაუვიწყარი მომენტებია ინგლისის სარდლობის შეუწყნარებელი მოქმედებისა, სადაც ერთ და იმავე სახით მეორდებოდა მეტად გამჭვირვალე მონაწილეობა ინგლისის მთავრობის რწმუნებულისა.

მაგრამ საქართველოს საზოგადოებრივი აზრი, უკანასკნელ დრომდე მაინც დარწმუნებული იყო, რომ ამ საქმეებში ბრიტანეთის მაღალ მთავრობას ხელი არ ურევია და რაც მოხდა, იყო შედეგი, მხოლოთ მისი აგენტების მოქმედებისა, რაც ადრე, თუ გვიან, ამავე მთავრობის მეოხებითვე გამოიხატებოდა.

სამწუხაროთ ამავე სახის აქტი, დღეს თვით ინგლისის მთავრობის სანქციით და განკარგულებით ხდება.

ჩვენ არ გვსურს არც დღეს დავაფასოთ თავისი ღირებულებით ამ აქტის ინიციატივა, რადგან კიდევ გვჯერა, რომ აქაც მეორდება აქაური სარდლობის მოქმედება და დიდი ბრიტანეთის მთავრობა შეცდომაშია მხოლოთ შესული მიკერძოებული ინფორმაციის გამოისობით.

ამ რამდენიმე ხნის წინათ, გაზეთებში მოთავსებული იყო ჩერჩილის პასუხი, კომანდორ კენვორტის ინტერპელაციაზედ, საქართველო დენიკინის ბრძოლის შესახებ და ამ პასუხიდან ჩვენ გავიგეთ, თუ როგორი ცალმხრივი ცნობები ჰქონდა ბრიტანეთის მინისტრს ამ საკითხის შესახებ, აქაური სარდლობის მიერ მიწოდებული.

ჩვენ გვინდა დავიჯეროთ, რომ ამავე გაუგებრობას ჰქონდეს ადგილი ამ შემთხვევაშიაც.

და ყველა ამ მოტივთა გამო, საქართველოს არ შეუძლია, ვიდრე საკითხი საბოლოო გადაწყვეტილებას არ მიიღებს, შესწიროს თავის ტერიტორიის თვალსაჩინო და განუშორებელი ნაწილი, რომელიმე გენერალის პირად სურვილებს?

არა! საქართველოს მთავრობა ამ ტერიტორიას ვერ დასთმობს, და არც ინგლისის სარდლობას აქვს არავითარი მორალური უფლება, გვაიძულოს ამ მოთხოვნილებათა დაკმაყოფილება ვიდრე ამ საკითხების შესახებ, ჩვენ მოლაპარაკება არ გვიწარმოებია.

ამ ნოტაში არის კიდევ ერთი პუნქტი, რომელიც საკვირველ გაუგებრობას უნდა წარმოადგენდეს.

„იქ სწერია ამიერ-კავკასიის რესპუბლიკებმა არ უნდა აწარმოვონ აგრესიული მოქმედება მოხალისეთა ჯარის წინააღმდეგ და გენ. დენიკინის დახმარება აღმოუჩინონ თუნდაც ნავთის და სხვა სურსათის მიწოდებით“ ო.

რას ნიშნავს ეს?

ვინ აწარმოებს აგრესიულ მოქმედებას?

საქართველო, რომელსაც ერთი ნაბიჯიც კი არ გადაუდგამს თავისი საზღვრების გარეთ, თუ გენ. დენიკინი, რომელიც ყველას ყველაფერს ედავება და დამპყრობელის მყვირალა ლოზუნგებით რაზმავს თავის ჯარს?

და განა ესეთი განცხადების შემდეგ, ინგლისის სარდლობას შეუძლია სთქვას, რომ იგი მიკერძოებულათ არ მოქმედებს?

ამ პუნქტის მეორე მუხლი, რომ ალბათ, თვით ინგლისელ გენერლებისთვისაც კი დაუჯერებელი ამბავია.

სად, ან როდის მომხდარა, რომ სურსათი და დახმარება მიაწოდო მტერს, რომ მან მეორე დღეს ამ მიწოდებული დახმარებით, შენვე გაგანადგუროს?

ჩვენ ვჰვობთ, რომ ამიერ-კავკასიაში მყოფი ინგლისელი სარდლები ანგარიშს უწევდენ თავის სიტყვებს, თორემ, ესეთს უცნაურობას, შეუძლებელია რომ ადგილი ჰქონდეს ბრიტანეთის მთავრობის ნოტაში.

## პარტიისათვის

**(მესამე პარტიული ყრილობის გამო)*)**

2.

წინა წერილში ჩვენ ზოგადად აღვნიშნეთ ჩვენი პარტიის ცხოვრების ისეთი მომენტები, რომელნიც ამა თუ იმ როლს თამაშობდენ პარტიის ზრდა განვითარებაში და მის დაქვეითებაში. ერთიცა და მეორეც უთუოდ ასანიშნავია, ვინაიდან ჩვენთვის პარტია არც პირად კეთილდღეობისა და არც ვიწრო ჯგუფური ინტერესების მატარებელი ორგანიზაცია არის. თუ ეროვნულ-დემოკრატიულ პარტიის არსებობა ღრმა და ღრმა ისტორიულ ფუძეზეა აგებული, თუ ის მიმდინარე მომენტის ორგანიული ნაწილია, არ უნდა დავივიწყოთ, რომ ამ პარტიის მომავალი უფრო შინაარსიანი და ფართე პერსპექტივებით არის გაჩირაღდნებული.

ლიტონი სიტყვა არ იყო ჩვენი პარტიის პირველი, დამფუძნებელი ყრილობის მიერ შემუშავებული პრინციპები: **მთელი ქართველი ერის სრული სუვერენიტეტი, კერძო საკუთრება და დემოკრატიზმი.** ეს სამი პრინციპი არ აღმოცენებულა არც ომის, არც რევოლუციის, არც რომელიმე ერთ სოციალურ ერთეულის, არც რაიმე გამოფიტულ, განყენებულ, უხორცო და უსულო დოგმის ნიადაგზე. ესენი არ გვესესხებია ჩვენ არც ერთი სახელმწიფოსა და ერის კოდექსიდან და არც მოგვიკრეფია უცხო ხეზე, თუნდაც იგი უტკბესი და ულამაზესი ნაყოფებით ყოფილიყო შემკული.

მხოლოდ და მხოლოდ ეს სამი პრინციპია არსება ქართველი ერის სულისა, ნაწილია ქართული ორგანიზმისა, საქართველოს სხეულისა. ამ სამ პრინციპში ჩასახული ქართველი ერის წარსულიც, აწმყოცა და მომავალიც. ღრმად მოაზროვნე ადამიანი აქ ჩასწვდება საქართველოს ანატომიას, მის ფიზიოლოგიას, ბიოლოგიას, ლოღიკას, ფსიხოლოგიას და აქვე მოსძებნის მის მასულდგმულებელ და განკურნაკს ნექტარს.

ეს გათვალისწინებული ჰქონდა ეროვნულ-დემოკრატიულ პარტიას და მისი იდეოლოგიაც ქართველი ერის წარსული, აწმყო და მომავალი სხეულის შეთვისებაზედ წარმოშვა. მან ერთ სხეულად შეადუღა ეს სამი პრინციპი და საქართველოს სახელმწიფო აღორძინების ქვაკუთხედათ აქცია. ვერ წარმოგვიდგენია ქართველი ერი გარეშე დემოკრატიული წყობილებისა, ვერ დაგვისახავს მისი არსებობა გარეშე კერძო საკუთრების პრინციპზე აგებულ სოციალ-ეკონომიურ ურთიერთობისა და შეუსრულებელი დარჩება მისი საკაცობრიო მისია, უკეთუ იგი სრულიად სუვერენულ, დამოუკიდებელ სახელმწიფოებრივ ფარგლებში არ იქნება განვითარებული. ამგვარად პარტიის მთელი ზნეობრივი, გონებრივი და ფიზიკური ენერგია ამ სამ ჭეშმარიტებაზე დაიხარჯება და მისი დანიშნულებაც ამით იქნება მიზან შეწონილად დასახული.

ჩვენი პარტიის განსაკუთრებული მდგომარეობა იმაშიც გამოიხატა, რომ არც ერთ სხვა პარტიას საქართველოში და მის გარედ იმდენი მოწინააღმდეგე არა ჰყავს და არც ეყოლება რამდენიც ჩვენსას. ჩვენ გვიხდება არ გვლივ ბრძოლა სწორედ ამ სამი სალი პრინციპის ცხოვრებაში განაღდებისათვის.

საქართველოს სახელმწიფოებრიობის მოწინააღმდეგე ელემენტებისათვის არ წარმოადგენს საფრთხეს ჩვენი არც სოციალ-დემოკრატიული, არც სოციალისტ-ფედერალისტთა და არც სოციალისტ-რევოლიუციონერთა პარტია, როგორც ეროვნულ-დემოკრატიული პარტია.

ერთიც, მეორეც და მესამეც უფრო მისაღებია ყველასათვის, ვიდრე ჩვენ, ვინაიდან ჩვენი idée fixe საქართველოს დამოუკიდებლობა, მისი კერძო საკუთრებისა და ჭეშმარიტ დემოკრატიულ პრინციპებზე აგება არც ერთი პარტიისათვის არ არის ისეთი კულტი, როგორც ჩვენთვის.

მენშევიკები უთუოდ მოურიგდებიან საქართველოს უსასტიკეს მტერს-რუსეთს, როგორც პროლეტარიზმით (ბოლშევიკებს) აგრეთვე ცენტრალიზმით (რუსეთის ყველა პარტიებს).

ფედერაცია და სოციალიზაციაც ერთგვარ სულიერ და იდეოლოგიურ ძაფს გაბამს რუსეთის სხვა და სხვა პარტიებსა და ჩვენს ფედერალისტ-რევოლუციონერთა პარტიათა შორის. მაგრამ, საქართველოს თვით მყოფობა, მისი (სუვერენობა ვერ დააკავშირებს ეროვნულ-დემოკრატიულ პარტიას საქართველოს პოლიტიკური საზოგადოების გაუფერულობის ნიადაგზე რუსეთის ვერც ერთ საზოგადოებრივ ჯგუფთან. შიგნითაც საქართველოს სამკვიდრებელში, ჩვენ აგრეთვე გვიხდება მხოლოდ მოწინააღმდეგებთან ურთიერთობა.

საქართველოს სუვერენიტეტიც, მისი დემოკრატიული წყობილებაცა და კერძო საკუთრებისა და თანასწორობის საფუძველზე ჩამოყალიბებაც ჩვენთვის არის იდეოლოგიის კითხვა პრინციპიული და ტაქტიკური მინიმუმ-მაქსიმუმიც,-იმ დროს, როდესაც მენშევიკი სოციალ დემოკრატები მათ გარდამავალ ტაქტიკის, კითხვად ისახავენ და სხვა და სხვა პირობებში შესცვლიან კიდეც. სოციალ-ფედერალისტები ხომ სოციალურ კითხვაში მენშევიკებთან არიან და დღეს მათაც კი წინ უსწრობენ, ხოლო პოლიტიკური მათი ადგილი არის არა (სუვერენული საქართველო) არამედ ფედერატიულად სხვა ერებთან შეკავშირებული. სოციალ-რევოლუციონერებიც თვითარსებით იგივე სოც.-ფედერალისტები არიან, ხოლო სახელით, ფორმაა მათი სხვა. ეს სამი პარტია დროისა და გარემოების მიხედვით შეიღებს და უარჰყოფს ჩვენს სამ იდეალს და ურთიერთ შორის მეტს საერთოს ნახავენ, ვიდრე ჩვენთან რომელიმე სხვა ორგანიზაციულად შეკრული საზოგადოებრივი აზრი.

ამ გვარად, ის რაც ჩვენთვის სამარადისო მიზანია, სხვა კატეგორიის ჯგუფებისათვის საშუალებაა და გარდამავალი მოვლენა. ეს თითქოს აყენებს ჩვენი პარტიის იზოლაციის კითხვას, მაგრამ ამავე დროს ეს არის სწორედ ჩვენი მთავარი ღირსებაც. დღევანდელი სხვა პარტიებთან იზოლაცია ისეთი არსებითი კავშირია ჩვენი ქართველ ხალხთან, (ჩვენ მეტსაც არ ვეძიებთ), როგორსაც ვერც ერთი საკენჭო ყუთი ვერ ჩაიტევს და რომელსაც ვერავითარი დროული გამარჯვებანი ჩვენი მოწინააღმდეგეთა ვერ გასწყვეტენ. ქართველი ხალხია წყარო ჩვენის ძლიერებისა და ისვე არის მიზანი ჩვენი.

ამისთვის ვიბრძოდით ჩვენ, ვიბრძვით ეხლაც და ვიბრძოლებთ მომავალშიც.

ჩვენი ბრძოლა წარსულში, მართალი უნდა ითქვას, არ იყო წინასწარ გეგმით გაზომილი, რაც უთუოდ ჩვენის გამოუცდელობით აიხსნება. ჩვენი მთავარი შეცდომა ის იყო, რომ ვითომდა თავდაცვითი ომს ვაწარმოებდით მოწინააღმდეგებთან, ვითომდა კომპრომისულის საშუალებებით ვიმარჯვებდით, მაგრამ ერთი რამ სრულიად გამოგვრჩა: ჩვენ კი არ ვიმარჯვებდით, არამედ ჩვენს პოზიციებს მოხერხებულად სისტემატიურის თანდათანობით ითვისებდნენ მოწინააღმდეგენი, თვით იჭერდნენ და მკვიდრდებოდნენ მათზე. ჩვენ კი, იდეოლოგიურად, გამარჯვებულთ, ტაქტიკურად, მოულოდნელი დამარცხება შეგვრჩა ხელთ. ჩვენცა და ხალხიც ხედავს, რომ ეს შედეგია მტკიცე დისციპლინის უქონლობისა და დღეს სრულიად საფუძვლიანათ მოგვთხოვს იგივე ხალხი და პარტიული მასა ამ დისციპლინის შექმნას.

ჩვენ უნდა აღვიაროთ მომავალი კონფერენციის წინაშე, რომ ასეთი დისციპლინა არა გვქონდა. ჩვენი ოფიციალური წარმომადგენელი რომ ერთს იტყოდა პარლამენტში თუ სხვა რომელიმე მაღალ ტრიბუნიდან, მეორე სულ სხვას სწერდა და ამტკიცებდა პარტიულ პრესაში. არ იყო მწყობრი, ჩამოყალიბებული და გეგმით შემუშავებული ტაქტიკა. იქ, სადაც შეტევა და იერიშები იყო საჭირო მოწინააღმდეგებთან ბრძოლაში, ჩვენ ხან თავდაცვას ვაწარმოებდით, ხან უბრძოლველად ვსტოვებდით პოზიციას პოზიციაზე და ხან კიდევ ინერტულად, პასივად ვიდექით განზე და მოწინააღმდეგეთ გამარჯვებას ვუადვილებდით.

ყოველი პარტიული ბრძოლისათვის ეგრე რიგად საჭირო სტრატეგია კი ჩვენთვის არ არსებობდა. ჩვენ სრულიად გადავავიწყდა სტრატეგიის ის მთავარი დებულება რომ თუ მტერს არ უტევ, მაშინ აღარც იბრძვი და და იმასაც დაჰკარგავ, რაც გჭირავს. ვინც არ შეუტევს, ის ვერც მოიგებს ბრძოლას.

ჩვენ კი ბრძოლა ჯერ არ მოგვიგია, შეიძლება არც კი გვეწარმოებიოს და ვფიქრობ, რომ ამ ბრძოლის გეგმის შემუშავებას თვისი ენერგიის ცხრა მეათედ ნაწილს მოანდომებს პარტიის მესამე ყრილობა. ჩვენ ერთ წუთსაც არ გვინდა ვიფიქროთ, რომ ეს მომავალი ბრძოლა სასტიკი შეტევებით არ იქნება სავსე, ვინაიდან ის დამაუძლურებელი ელემენტები, რომელნიც იყვნენ მთავარი დამნაშავენი პარტიის ზრდის შეჩერებაში, დღეს ღვთის მადლით მარჯვნიდანაც და მარცხნიდანაც ჩამოგვეცალენ.

და კონფერენციას მოუნდება არა თუ ამ ჩამოცილების სასიამოვნო რატიფიკაციის აქტის დისტურის დაცემა, არამედ მას დასჭირდება დიდძალი ანტიტოქსინის დამზადება, რათა თუ ჩაკლულ არა, სასტიკათ და სამუდამოდ ჩამოხვეტილ იქნენ პარტიის კუთხეებიდან ის ობობას ქსელები, რომელნიც კვლავ სწუწნიან და ასუსტებენ პარტიის სხეულს. გარეშე ამისა კი ჩვენი სალი და ცოცხალი იდეები, რომელთა შენარჩუნების [illegible] საშუალება და შეძლება გვაქვს დაიშლებიან და დაჰკარგვენ მიმზიდველობას ქართველი ხალხის თვალში.

**ი. ხ.**

*) იხ. „საქართველო“ № 121.

## დამფუძნებელი კრება

**22 ივნისის საგანგებო სხდომა.**

### სპ. კედიას სიტყვა.

**თავმჯდომარეობს ალ. ლომთათიძე.**

**სპ. კედია.** (ერ. დემ.). ბატონებო, ეს პირველი შემთხვევაა, როდესაც დამფუძნებელი კრება რატიფიკაციას უშვრება სახელმწიფო ხელშეკრულებას და მე კმაყოფილებით აღვნიშნავ, რომ ის აქტი, რომელსაც დღეს დამფუძნებელი კრება დაადასტურებს არ გაგვაწითლებს და სირცხვილს არ გვაჭმევს. ამ აქტში უკვე მოჩანს ერთნაირი სახელმწიფოებრივი სიმწიფე, შედეგი მთელი წლის ზიგზაგით და შეცდომებით სიარულისა, შედეგი განვლილი წლის გამოცდილებისა.

ის სიტყვებიც, რომელიც თქვენ აქ ჩემამდის მოისმინეთ, [illegible] და მორცხვად სცნობენ და აღიარებენ წარსულის ამ შეცდომებს, სინამდვილის სწორად ვერ ამოკითხვას. ამ მხრივ ეს სიტყვები ჩემში სიამოვნებას იწვევს და კმაყოფილებით აღმანიშვნინებენ, რომ ჩვენ ბოლოს მაინც დავადექით სწორ სახელმწიფოებრივ გზას.

16 ივნისის თარიღით შეკრულია აქტი დადებულია ხელშეკრულობა საქართველო-აზერბაიჯანს შორის. რომლის, მიზანია მხოლოდ თავდაცვა და თვითეული მათგანის დამოუკიდებელი თვით არსებობისა და თავისუფლებისათვის საერთო საშუალებით ბრძოლა და მოქმედება. მიზანია უაღრესად სახელმწიფოებრივი, მეთოდიც წმიდა სახელმწიფოებრივია. ეს ხელშეკრულობა მოწმობს, რომ ჩვენმა პასუხისმგებელმა მესვეურებმა თავიდან მოიშორეს ის პარტიული პრინციპები, რომელიც დღემდე ხელს უშლიდა საქართველო-აზერბაიჯანის კავშირს. ვიმეორებ, ეს გარემოება მეტად სასიხარულოა და თან იმას მოწმობს, რომ ჩვენ თანდათან მივუახლოვდით ნამდვილი სახელმწიფოებრივი კონცეპციის შეთვისების მომენტს. ამ მხრივ დატა ამ ხელშეკრულობის დადებისა, დატაა ჩვენი სახელმწიფოებრივი გზისა და ხაზის გამოსწორების.

ბატონებო, შემთხვევითი არ არის ის გარემოება, რომ საქართველოს მთავრობა და ქართველობა ამ ერთი წლის განმავლობაში ყოველთვის გამოდიოდა საერთო შემოკრებისა და გაერთიანების წინადადებით. ჩვენი ამგვარი მისია განსაზღვრულია ჩვენი ერის ისტორიის შინაარსით, და ამ შინაარსის ძალით ისე როგორც მისი აწინდელი პოლიტიკურის და კულტურულის ვითარებით. ჩვენი ამგვარი როლი განსაზღვრულია იმ ცენტრა-

## აფხაზეთში

**3. ბოლშევიკური თესლები.**

საყურადღებოა ერთი მოვლენა; ის „სევა“ კუხალეიშვილი, რომელიც შემდეგში „ბოლშევიკად“ გახდა, დიდ პატივში იყო ადგილობრივ სოციალ-დემოკრატთა პარტიაში: ყოველ საარჩევნო „კომპანიაში“ მაზედ იყო იმედები დამყარებული. რევოლიუციის პირველ ხანებში, როცა „ჟანდარმთა“ უწყება დაინგრა და მათი ყველა ქაღალდები ჩვენ ხელში გადმოვიდა, მიწერ-მოწერის განხილვის დროს აღმოჩნდა, რომ ერთი ძმა—სპირიდონ კუხალეიშვილი თურმე ჯაშუშად მსახურობდა და თვით „სევა“ ადგილობრივ „საჟანდარმოს“ უფროსის მფარველობის ქვეშ ყოფილა. 1907 წელს მთელი ჯგუფი სოხუმელ სოციალ-დემოკრატების ფარული ლიტერატურით დაჭერილ იქმნა, ამ ჯგუფში „სევაც“ ერია, მაგრამ მას, როგორც სჩანს ერთი ქაღალდისაგან, გამოსარჩლა ადგილობრივი „საჟანდარმოს“ უფროსი და მოითხოვდა „სევას“ სოხუმში დატოვება, რადგანაცს ის მისთვის საჭირო კაცია; მიუხედველად იმისა, რომ ეს ქაღალდი წაკითხულ იქმნა ყველა ადგილობრივ სოციალ-დემოკრატიულ პარტიის მეთაურებისაგან, „სევა“ მაინც მომქმედ და ხელმძღვანელ პირად დარჩა სოციალ-დემოკრატიის პარტიაში. ასეთი კაცის შემწეობით მთავრობა იარაღს ურიგებდა მცხოვრებთ: „სევას“ მეოხებით შეიარაღებულია ყველა ის ბაბუშერელი „მობოლშევიკე“ მეგრელები, რომელთა საწინააღმდეგოდ მთელი ჯარის და არტილერიის წამოყენება დაგვჭირდა „კოდორის ფრონტზედ“.

შეიძლება მკითხველმა იფიქროს, რომ ამ „სევას“ რამე დადებითი მხარე, ღირსება აქ ისეთი, რომელსაც აფასებს პარტია: ერთად ერთი მოსათმენი თვისება ამ „მოღვაწის“ ის არის, რომ სირბილი, ჩხუბი, მუქარა და ძალადობა შეუძლია არჩევნების საქმეში; სხვა მხრივ კი სრულიად მოუმზადებელი, უვიცი, უზრდელი და ბრიყვი ადამიანია: იშვიათია ისეთი კაცი სოხუმში, რომ ამ დაუდეგარ და ყბედ ადამიანთან უსიამოვნება არ მოსვლოდეს, მთელი ოჯახი ამ კუხალეიშვილის „ანარქიის“ საზოგადოებური საქმეების არევ-დარევის თანამგრძნობელი და ხელის შემწყობია, ყველა ისინი სხვა და სხვა საპასუხო სახელმწიფო და საზოგადოებურ თანამდებობაზე იყვნენ ჩაყენებული; ზოგი დეპეშების საქმეზედ, ზოგი ბანკებში და ზოგი სამაზრო სამართველოში.

ჯაშუში სპირიდონი მისმა ძმამ—„სევამ“ გააპარა: როცა აღმასრულებელ კომიტეტში გამომჟღავნდა ცნობები სპირიდონის ჯაშუშობის შესახებ, სევას ამხანაგებმა ყურუშაძემ და სხვებმა მხარი დაუჭირეს იმ წინადადებას, რომ სპირდონს სამი დღე ვადა მისცემოდა პასუხის წარმოსადგენათ, თვით სევა მისი ძმის გასამართლების დროს მონაწილეობას ღებულობდა და არც ერთ სოციალისტს ამ უწესობის წინააღმდეგ ხმა არ დაუძრავს. როცა პასუხის წარმოდგენის ვადა გათავდა, კომიტეტს ცნობა მოუვიდა ჯაშუში გაქცევას აპირებსო, დაჩქარებით ჯარის კაცები გაიგზავნა მის მოსაყვანად: სევა, როგორც კომიტეტის წევრი, დახვდა ჯარის კაცებს, შეაჩერა ისინი მანამდი, სანამ მისმა ძმამ გადაცმა და გაქცევა მოასწრო. ეს ფაქტი გამომჟღავნდა ჯარის კაცების განცხადებით კომიტეტში, მაგრამ აქაც სოციალისტებმა მხარი დაუჭირეს პარტიულ ამხანაგს.

როცა „ბოლშევიკების“ შემოსვლა სოხუმში წინასწარ გადაწყვეტილი

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლური პოზიციით მთელს კავკასიაში რომელიც ისტორიულად ეჭირა საქართველოს თუ სახელმწიფოებრივი დრადიციის, თუ კულტურის, თუ ტოპოგრაფიის ძალით.

ამ ჩვენი როლის გამსაზღვრელ მომქმედ ფაქტორთა შორის, უნდა მოვიხსენიოთ ერთი ფაქტორი, რომელსაც ყოველთვის აბსტრაქციას უწვრებიან, მაგრამ რომელსაც ერის სულში ღრმად აქვს ფესვები ჩაშვებული და დღესაც ჩვენს ცხოვრებაში აქტუალურ ძალას წარმოადგენს ეს არის საქართველოს სარწმუნოებრივი სახე. სარწმუნოებრივად საქართველო დაყოფილია ორ თითქმის თანასწორ ნაწილად: ერთია, მუსულმანური საქართველო, მშვენიერი და დიდებული ჯავახეთი, მესხეთი, ართაანი, ოლთისი, ჭანეთი და სხვა ეს საქართველო თავისი სულიერი და სარწმუნოებრივი კულტურით უერთდება ჯერ კავკასიის და მერე მთელი [illegible]

რომ დღეს მაინც სომხის ხალხი და მის მეთაურები, როგორც პრაქტიკული გონებისა და ჭკუის, ხალხი, ჩვენთან მოვიდოდა და თავდაცვის საერთო ხელშეკრულებას დადებდა საერთო მტრის წინააღმდეგ მაგრამ ეს არ მოხდა. თქვენ იცით, რომ კავკასიის რესპუბლიკათა კონფერენციის ცდამაც ამ მხრივ უშედეგოთ ჩაიარა. ეს ნაკლი აქვს დღევანდელ დღეს და საერთო მიზანს. ამით კი ფრონტი კავკასიისა გაწყვეტილია და დარღვეული· შუაგულ ადგილას დარჩენილია ერთნაირი ხარვეზი ცარიელი სივრცე; ეს ადგილი უნდა იქნეს შევსებული. ჩვენ ვუცდით. სომხის ერს მართებს დაფიქრება; იცოდეს კარგათ, რომ იზოლაციაში განმარტებით და ყველას წინააღმდეგ მას კავკასიაში არსებობა არ შეეძლება. ჩვენ გვინდა ვიწამოთ რომ ის მდგომარეობას შეიგნებს, და მოღალატეობას არ დაადგება. უკუ თუ ეს არ მოხდა, ჩვენ-ჩვენი გზა და ჩვენი [illegible]

მოუკიდებლობას; გაუმარჯოს ამ ორ ხალხის კავშირს დამოუკიდებლობისა და თავისუფლების. (ტაში).

დღეს, საქართველოს დამფუძნებელი კრება მიუძღვნის მხურვალე სალამს თავის ახალ მოკავშირეს. ამ ხელშეკრულობით საქ. დამფუძნებელი კრება ფიცის ქაღალდს უგზავნის აზერბაიჯანის პარლამენტს და ხალხს, რომ მასთან ერთად იომებს საერთო მტრის წინააღმდეგ. ჩვენ გვწამს რომ აზერბაიჯანის ხალხი ჩვენთან ერთად იტყვის: „ან გამარჯვება, ან სიკვდილი!“ (ტაში)

# ქრონიკა

**პროტესტი თიანეთიდან.** თიანეთის მოწინავე საზოგადოება აღელვებულია იმ ზომების წინააღმდეგ რომელიც განუზრახავს მიწად მოქმედების სამინისტროს. თიანეთის მაზრიდან სამეურნეო მანქანების გადაგზავნა ბორჩალოს მაზრაში, რაც მთელ მაზრას უხერხულ მდგომარეობაში აყენებს საზოგადოება გამოსთქვამს პროტესტს და აცხადებს რომ მანქანების წაღებას თიანეთის მაზრიდან ყოვლათ შეუძლებლად სთვლის რადგანაც მანქანების ამუშავება უკვე იწყობა.

**პეტროგრადის კომისარი.** პეტროგრადის სახალხო კომისრად მოკლულ ურიცკის მაგივრად ა. პ. დადიანი დაინიშნა.

**საქართველოდან გამსვლელ-შემომსვლელთა რეგისტრაცია.** შინაგან საქმეთა სამინისტრომ წინადადება მისცა სოხუმის კომისარს, ქუთაისისა და თბილისის მილიციის უფროსებს აწარმოვონ საქართველოში შემოსულ და საქართველოდან გასულ პირთა რეგისტრაცია.

**საქონლის გადატანა სპარსეთიდან აზერბაიჯანში.** აზერბაიჯანის გზათა-სამინისტრომ მიიღო ზომები, რათა სპარსეთიდან საქონელი გადმოჰქონდეთ არა პეტროვსკით არამედ ბაქოთი. ამით ისინი ამოკლებენ გზას დაახლოებით 68 მილით.

**ახალი წიგნი.** რედაქციამ მიიღო მთავრიშვილის მიერ გამოცემული სახელმძღვანელო პრ ვულფიურისა „ახალი ისტორია“. წიგნი თარგმანია ჯიჯაიშის გიმნაზიის დირექტ. ცაგარეიშვილის მიერ, გამოცემულია სუფთად და ღირს ერთი მანეთი.

**გაზეთის სასარგებლოდ.** გაზეთ საქართველოს სასარგებლოდ გიგო დგებუაძემ 50 მანეთი შესწირა.

**საბავშო თეატრი.** დღეს, ხუთშაბათს, ქართულ კლუბში, საღამოს სწორედ 5 ს., გაიმართება საბავშო წარმოდგენა-კონცერტი თვით ბავშვების მონაწილეობით. ფასი 10 მ. 3 მან.

**სომეხი ლტოლვილები.** სომეხი ლტოლვილები თბილისიდან თითქმის ნახევარი გაიყვანეს. აქედან 500 კაცამდე გაჩერებულია სანაინში დანარჩენი კი სამშობლოში გაგზავნეს.

**ფქვილი სომეხთათვის.** დღემდე სომხეთისათვის ამერიკიდან 800,000 ფუთი ფქვილი გადმოუზიდავთ.

## სტუდენტთა ცხოვრებიდან.

**სამეცნიერო ჟურნალის დაარსებისათვის.** სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტთა ერთმა ვიწრო წრემ განიზრახა მომავალ სასწავლო წლიდან გამოუშვას „სტუდენტთა სამეცნიერო ჟურნალი, რომელშიაც მოთავსდება ყოველივე მასალა სამეცნიერო ხასიათისა. ამ წრის ინიციატორობით შაბათს, სტუდენტთა სასადილოს კანტორაში შესდგა კრება გამოცემაში მონაწილეობის მიღების მსურველთა. იმსჯელეს ჟურნალის ხასიათის შესახებ, და დაადგინეს მოიწვიონ მომავალ კვირეს უფრო ფართო კრება და საბოლოვო დადგენილება გამოიტანონ ჟურნალის გამოცემის შესახებ.

**საქონელი სტუდენტთათვის.** სახელ. უნივერ. სტუდენ. კავშირის გამგეობამ ორჯერ გამოიტანა და დაარიგა სტუდენტებისადმი დაპირებული ფეხსაცმელები, დანარჩენ ფეხსაცმელებს შემდეგ კვირეში ორშაბათს ან სამშაბათს გამოიტანს.

**სანოვაგე სტუდენტთა სასადილოსთვის.** სახელმ. უნივერ. სტუდენ. სასადილოს გამგეობამ თხოვნით მიმართა რესპუბლიკის სასურსათო საბჭოს, დაუთმონ მათ დაკლებულ ფასებში სანოვაგე სასადილოსათვის.

**სადილის ფასები სტუდენტთათვის.** სტუდენტთა სასადილოში ყველა სტუდენტობას, რომელნიც თბილისში სწავლობენ, სადილი ერთნაირ ფასებში მიეცემათ.

## სხვა და სხვა ამბები.

**ქურდობა.** რკინის გზის გადაღმა მცხოვრებ შუბინინის ბინიდან 20 ივნისს ღამით მოიპარეს 5000 მ. სხ. და სხ. ნივთები.

**მარცხი** 24 ივნისს საღამოს 10 საათზე სომხეთის მთავრობის ავტომობილი, სომხის ბაზარში, დაეჯახა მოხუც აკოფ სტეფანოვს და მძიმედ დაშავა.

**დახვრეტის მისჯა.** იოსებ მშვიდობაძის მკვლელებს, ქუთაისის საგანგებო სასამართლომ 11 ივნისს, ივანე სირაძეს და ივლიანე კვირკვლიას დახვრეტა მიუსაჯა. ცინცაძე და ლოლაძე გაამართლა.

**იარაღის საწყობის დაბეჭდვა.** სისხლის სამართლის მილიციის უფროსის განკარგულებით დაბეჭდეს ა. ხ. სტეფანიანცის იარაღის საწყობი, ლომლიდანაც, როგორც გამოირკვა იარაღს აძლევდენ ყოველ ბოროტგამზრახველთ

**საქონლის აღმოჩენა.** მილიციელებმა აღმოაჩინეს ა. ლ. ტერმარტიროსოვის ბინაზე (ყვირილის ქ. № 7) ინგლისის დიდძალი საქონელი რომელიც ინგლისელებს გადასცეს.

# პარტიული ცხოვრება

**მეორე უბნის კრება.** დღეს, ხუთშაბათს, 26 თიბათვეს, საღამოს 7 საათზე, სამეურნო საზოგადოების დარბაზში („ქართულ კლუბის“ პირდაპირ) დანიშნულია კრება საქართველოს ეროვ.-დემოკრატიული პარტიის ქ. თბილისის მე-2 რაიონში (მე 2, 3, 4 სამილიციო უბნებში) მცხოვრებ წევრებისა.

დღი წესრიგია:

1) **იას. ჯავახიშვილის** მოხსენება
2) მორიგი საკითხები.

# სამხატვრო ქრონიკა

**დუტუ მეგრელის „პრომეთე“.** დაიბეჭდა და გასასყიდათ გამოვიდა დუტუ მეგრელის დრამა პოემა სამ სურათად: „პრომეთე“. წიგნი საუკეთესო ქაღალდზეა დაბეჭდილი, შეიცავს 31 გვერდს და ღირს 5 მანეთი.

# პროვინციის ცხოვრება

(საკუთარ კორესპონდენტებისაგან)

**სამეგრელო.**

როგორც სამეგრელოდან იუწყებიან გამუდმებულმა წვიმებმა ნათესი და მეტადრე პურის მოსავალი ერთიანად გააფუჭა.

**ქ. სამტრედია.**

სამტრედიაში ამ ჟამად სიმინდი ფუთი ღირს 57 მ. ფქვილი 65. მანეთი.

**ს. ქარელი.**

მოსავალი საშუალოა. ხშირი წვიმების გამო სიმინდები დროზე ვერ დაითოხნა და ბალახი გამოერია.

— გუშინ წინ ორ მეგომურ ებრაელს ბოროტ-გამზრახველები თავს დაესხენ.

— ფოსტის საჭიროება დიდია.

— ჯერჯერობით აქეთ მშვიდობიანობაა და ავაზაკთა ხმა მისწყდა.

—ადგილობრივი სამკითხველო ვერ არის სასურველ ნიადაგზე დაყენებული.

**ს. მანგლისი.**

მანგლისის არემარეში, სახელდობრ ს. ს. ბაშკოვსა და ლივადში მსხვილი სეტყვა მოვიდა. სეტყვა რვა საათს გაგრძელდა ქარიშხალმა და სეტყვამ სრულიად მოსპო ჭირნახული, საქონლის ნახირები, ცხვარი, რიცხვით 875 და სხ.

ამ დღისით ნიაღვარმა დაახრჩო ორი ქალი და სამი ბავშვი.

**ს. ბაღდადი**

ს. ფერსათში (ბაღდადის მხარე) მცხოვრები ნიჟარაძეს თავს დაესხა ორი ბოროტ გამზრახველი, რომლთაც ნიჟარაძეს 7000 მანეთი და 1000 მანეთის ღირებული გაიტაცეს.

**ს. ძირულა.**

ძირულის აგურის ქარხანას ცეცხლი გაუჩნდა. ქარხანა სრულებით დაიწვა. ზარალი აუწერელია.

# დეპეშები

(საქ. დეპ. სააგენტო).

## გერმანული პრესა

**მოკავშირეთა ნოტა.**

მოკავშირეთა დროებითი ზავის კომისიის თავმჯდომარემ გენ. ნუდანმა ივნისის 19 გერმანიის დროებითი ზავის კომისიის თავმჯდომარეს სპაში ასეთი ნოტა გაუგზავნა: „მოკავშირეთა ჯარების მთავარ სარდალმა მარშალმა ფოშმა ივნისის 18-ს დეპეშით შემდეგი მაუწყა: გერმანიის დროებითი კომისიის თავმჯდომარეს სასწრაფოდ აუწყეთ: მოკავშირეთა მთავრობები გერმანიის მთავრობისაგან მოითხოვენ, დაუყოვნებლივ გასცეს ბრძანება რომ არ დაუშვას ჩრდილოეთით, ესტონიისაკენ გერმანიის ჯარების წინსვლა და დაუყოვნებლივ გამოიყვანოს ჯარები ვინდავიდან, ლიბავიდან და მთელი იმ ტერიტორიიდან, რომელიც დროებითი ზავის მე-12 მუხლის თანახმად, რუსეთის ნაწილად ითვლება.

## ბოლშევიკური ცნობები

**ლიონი,** ივნისის 21. გერმანელ ავსტრიის გარშემო წვრილი დამოუკიდებელი სახელმწიფოები ხელოვნურად შექმნილი დასაყრდნობი ძალა იქნება, ახალ სახელმწიფოებს ეშინიათ საქონლის თავისუფლად გაცვლა-გამოცვლის დაწყება, რადგანაც ერთი ერის კრედიტი და ფული მეორე ერის კრედიტსა და ფულს არ უდრის.

**ოდესა.** ივნისის 20. ბანატოს საკითხმა ძალიან გაამწვავა რუმინია-სამხრეთ სლავიის ურთიერთობა. ბანატში მათ სამხედრო ნაწილებს შორის შეტაკებები ხდება. რუმინია სერბიის წინააღმდეგ ჯარებს გზავნის. ბუქარესტში შესაძლებლად მიაჩნია შეიარაღებული შეტაკება რუმინიისა და სამხრეთ სლავიის შორის. რუმინიის მთავრობამ მოაწყო პატრიოტული მანიფესტაციები, რომელზედაც სერბიასთან ბრძოლისკენ მოუწოდებდნენ.

**ლიონი.** ივნისის 22. ინგლისმა შესცვალა თავისი ოსმალეთისადმი პოლიტიკა და ეხლა თანახმაა, ოსმალეთს დაუტოვონ აზიის სამფლობელოთა ნაწილი საფრანგეთი მხარს უჭერს ამ პოლიტიკას იმ იმედით, რომ ოსმალეთში პოლიტიკურ და ფინანსიურ გავლენის ხელმძღვანელობა მის ხელში იქნება. ოსმალეთის დელეგატები, რომელთაც პარიზის მიდამოებიდან გასვლის ნება არა აქვთ, ფრანგების ხელში არიან. ფრანგებს იმედი აქვთ, მოიპოვონ ამერიკის დახმარება იმ დაპირების წყალობით, რომ ამერიკელ ფინანსისტებს კონცესიებს მისცემენ. ამ ჟამად კონფერენციას სურს შექმნას დიდი სომხეთი და აპირობენ მას გადასცენ არამცთუ, მხოლოდ შავიზღვის ნაპირები, აგრეთვე ბათუმიც, სამსუნიც და ხმელთა შუა ზღვის ნაპირებიც სმირნისა, და ტარტუსს შუა. საფრანგეთი წინადადებას მისცემს კონფერენციის, რომ სომხეთის მანდატი მას მისცენ, თუ ამერიკა უარს იტყვის

---

[illegible]

ტრფიალეთა და ცარცვა-გლეჯის ხელობის მიმდევართაგან. დადგა ისეთი დრო, რომ ქუჩაში გამოსვლა აღარ შეიძლებოდა, იმდენად გათამამდენ ქუჩის ბიჭები, რომ მანდილოსნებს შუადღეზედ ხელზედ ბეჭედს ხსნიდენ და ფეხსაცმელს ართმევდენ. როცა ქალაქის მცხოვრებთა გოდება-ტირილმა შეაშფოთა მართველთა მყუდროება, ქალაქის თავმა ბენია ჩხიკვიშვილმა და მისმა ამალამ მოიფიქრა ერთი გასაოცარი ხერხი: ერთ ღამეს შეიქმნა მთელ ქალაქში თოფების სროლა, ხმაურობა, შიში; მცხოვრებნი გაოურკვეველ მდგომარეობაში იყვნენ: არ იცოდენ რა ხდებოდა; თურმე მთელი ქალაქი უცბათ შემოურტყამთ სოფლებიდან ჩამოყვანილი შეიარაღებული ხალხით: დაუწყვიათ ყველა სახლების ჩრეკა და საეჭვო კაცებისაგან დაჭერილ ბინებისაკენ ტყვიების სროლა; რამოდენიმე კაცი მოჰკლეს, მრავალი ფანჯრები დაამტვრიეს, ბევრი საეჭვო პირები დაიჭირეს.

შესამჩნევია ამ არეულობის ისტორიაში ერთი ამბავი: რუსეთის რევოლიუციის დამყარების პირველ ხანებში ჩამოვიდა სოხუმში სხვა კატორღელებთან ერთად სოხუმელებისაგან ცნობილი, როგორც ექიმ მეეროვიჩის მომტაცებელი — ყმაწვილი პლატონ კილაბერია, შვიდი რვა წლის წინათ ძლიერ გავრცელებული იყო ჩვენში შეძლებულ კაცთა მოტაცება ფულების გადასახდევინებლად.

ბათომში მოიტაცეს ექიმი ტრიანდაფილიდისი, აწამეს და მოჰკლეს; სოხუმში ექიმი მეეროვიჩი მოიტაცეს, გამოსასყიდელი ფული გამოართვეს და უვნებლად გაუშვეს. რა თქმა უნდა, ყველა ამ წინასწარ განზრახულ და ფარულად დამზადებულ შეთქმულებაში მარტო კილაბერიასთანა ბავშვები არ იყვნენ: ბევრი ჩვენ საზოგადოებაში ეხლაც გავლენის მქონე პირები ერია იმ დროს ამნაირ „კომერციულ“ ოპერაციაში, ასეთ მოვლენას რევოლიუციონური ხასიათს აძლევდნენ და ხშირად ამა თუ იმ პარტიის სახელითაც აწყობდენ ასეთ საქმეს; სოხუმელი კილაბერიაც იმ პოლიტიკურ კატორღელთა ჯგუფში მოხვდა, რომლებიც ბენია ჩხიკვიშვილთან ერთად დიდის პატივისცემით და გზაზე ფიანდაზის დაგებით განსაკუთრებულ სახელმწიფო მატარებლით გამოამგზავრა ახალმა რევოლიუციონურმა რუსის მთავრობამ ციმბირიდგან. სოხუმელი კილაბერია როგორც ბუნებით ნიჭიერი, გაბედული და ცოცხალი გონების ჩვენებორი ყმაწვილი, საკმაოდ განვითარებული პოლიტიკურ დამნაშავეთა წრეში ყოფნით. ერთ დროს, რევოლიუციის პირველ დღეებში დიდ ალტაცებას იწვევდა ის პეტროგრადის ფართო საზოგადობაში: [illegible] რა [illegible] ახალ გარემოებას, შეაგნო, რომ ახალ დროს ახალი ჰანგი შეეფერება, დაიწყო ლექციების კითხვა დამნაშავეთა გამართლების შესახებ ყოფილ მართველობაში არსებული პირობების გავლენით: „ჩვენ ძველმა რეჟიმმა შეგვქმნა დამნაშავედ, ეხლა ახალ პირობებში ჩვენ შეგვიძლია საზოგადოებისათვის სასარგებლო შევიქმნეთ. მოგვანდევით საქმე, გამოგვცადეთ და თუ სარგებლობა დაინახოთ ჩვენგან, ნუ გაგვრიცხავთო“.

ეს მეცნიერებაშიაც მიღებული სამართლიანი აზრი, გამოთქმული გაბედულად, რიხით, შეიძლება, გულწრფელადაც, ახალგაზრდა სანდომიანი შეხედულობის ქართველისაგან, რომლის ტიპს „სოციალიზმის“ შეგნებულად მიმდევრობის გამო, თაყვანს სცემდა იმ დროს მთელი უცხოელები, დიდ შთაბეჭდილებას ახდინდა რუსის საზოგადოებაში: მის ლექციებზედ მრავალი მსმენელი ესწრებოდა. დიდი შეცდომა მოუვიდა საწყალ კილაბერიას, რომ მოაშურა სამშობლოს და მერე კიდევ იმ ადგილს, სადაც მისი ვინაობა და დანაშაულობა ყველა მცხოვრებმა იცოდა. არა თუ დანაშაულობას, წარჩინებას, უპირატესობასაც არ აპატიებს თავისიანს ბრბოზედ მეტად, შეგნებული ნაწილი საზოგადოებისა. ამით აიხსნება ის, რომ თითქმის ყველა ის ჩვენი მოძმენი, რომელნიც დიდ ალტაცებას, ქება-დიდებას იწვევენ უცხოეთში, ჩვენში, უმეტეს შემთხვევაში, აგდებულია, დამცირებული და დევნილი, კილაბერიამ სოხუმშიაც ლექციების კითხვა დაიწყო; ჩვენებურობა, რა თქმა უნდა, ნდობით და პატივისცემით ვერ მოეპყრობოდა ამ მის ნაცნობ უბრალო ბიჭს; შეიძლება, ასეთი „ავანტიურისტები“ ბევრი დადიოდეს უცხოეთი ჩვენში და დიდ შთაბეჭდილებასაც ახდინდეს საზოგადოებაზედ, მაგრამ შინაურს, ნაცნობს ხალხი არ აპატიებს მის ყოფილ არარაობას; ამიტომ შეიქმნა სოხუმელ საზოგადოებაში დიდი მითქმა-მოთქმა: „რა დროს მოვესწარით, „კატორჟნიკები“ ლექციებს კითხულობენო“. როცა კილაბერიასავით მომზადებული პოლიტიკური „კატორჟნიკი“ კითხულობდა ლექციას, არავის ეს არ გაჰკვირვებია: ეს, რაღაც დაკანონებულ და სავალდებულო წესად მიაჩნდათ, მაგრამ როცა კილაბერიამ გაბედა საზოგადოებასთან პატიოსნურ როლში გამოსვლიყო, ხალხში უკმაყოფილება გაისმა; ამ საერთო აზრს ანგარიში გაუწია საზოგადოების მეთაურებმა: ასე, ჩვენი ხალხის ენით რომ ვსთქვათ, ულმერთოდ მოკლამ დიდი უკმაყოფილება გამოიწვია ყველა წრის საზოგადოებაში, როგორც ქართველობაში, ისე აფხაზებში. ამ ფაქტით ისინი დარწმუნდნენ, რომ სამართალი არ არსებობს, რომ ქვეყნის სათავეში ხალხის ზნეობრივი შეგნების და ფსიხიკის უცოდინარი კაცები არიანო. განსაკუთრებით ცუდი და მწარე შთაბეჭდილება მოახდინა ამ მოვლენამ აბხაზებზედ: თვით აბხაზთა უმრავლესობაში ძლიერ გავრცელებულია შურისძიება, მტრული განწყობილების გამო მკვლელობა, მაგრამ შეგნებული ნაწილი სულ იმის მეცადინეობაშია, რომ ეს მხეცური გრძნობა მოისპოს: ძველ ადათებზე დამყარებულ სამსაჯულოების რუსის ბიუროკრატიულ სილქმ სასამართლოებზე შეცვლას იმიტომ შეურიგდენ, რომ აქ უფრო კულტურული, ზნეობრივი საფუძველი იყო მიღებული დამნაშავეთა გასამართლების შესახებ. ამ მოვლენაში კი აბხაზებმა დაინახეს ისევ ძველებური წესების აღდგენა. სადაც კანონს, წესიერებას, პრინციპიალურ სახელმძღვანელო საფუძველს მნიშვნელობა აღარ აქვს ყოველი უხერხული, მოუფიქრებელი ცხოვრებისათვის მნიშვნელოვანი მოქმედება, განსაკუთრებით კილაბერიას მეორე ლექცია უნდა წაეკითხა საშაბათს და სწორედ ორშაბათს ის შემთხვევა მოხდა, რომელიც ზემოდ მაქ მოხსენებული: მთელ ქალაქს ალყა შემოარტყეს და საეჭვო პირების დაჭერა დაიწყეს; განსაკუთრებით შემოესიენ პირველადვე იმ სასტუმროს, სადაც კილაბერია ბინადრობდა; ასტეხეს სროლა, დაამტვრიეს ფანჯარები, დახვრიტეს კედლები, მოჰკლეს კილაბერიას ოთახში მწოლი ემუხვარია, თვით კილაბერია დასჭრეს. შეატყო რა კილაბერიამ, რომ მის წინააღმდეგ არის დამზადებული ეს შეთქმულება, დარწმუნდა, რომ მოჰკლავენ და მოიგონა საავადმყოფოში წაეყვანათ; იქ ექიმებმა მცირედ ჭრილობად იცნეს; არ დაადლენ საავათყოფოში დაწოლა, წაიყვანეს სატუსაღოში, იქიდგან გაიწვიეს გამომძიებელთან და გზაში, გაქცევას აპირებდაო დასწამეს და მოჰკლეს.

ნიკო თავდგირიძე.

(შემდეგი იქნება).

ეროვნული ბიბლიოთეკა

მასზე. საბერძნეთი მოითხოვს სმირნის გარშემო ზონის გაფართოვებას იმ საბუთით, რომ იტალიელები ოსმალთა ბრბოებს ადგენენ ბერძნების წინააღმდეგ.

**ოდესა.** ივნისის 17. ბესარაბიაში საფრანგეთის სამხედრო საველე სასამართლოს დადგენილებით დახვრიტეს სერჟანტი ქელიამეში, რომელიც საფრანგეთის ჯარში ბოლშევიკურ მოძრაობას მეთაურობდა. მოკავშირეთა სარდლობა თეთრკანიან ჯარებს შავკანიანებით სცვლის. საფრანგეთის ჯარში მასიური დაპატიმრება მოხდა. მცხოვრებლების წინააღმდეგ ტერორი ძლიერდება. სულ უმნიშვნელო დაბეზღებით ხვრეტენ მცხოვრებლებს.

## ინგლისის მთავრობის ნოტა საქართველოს მთავრობისადმი.

საქართველოს მთავრობის თავმჯდომარემ 11 თიბათვეს შემდეგი დეპეშა მიიღო ამიერ-კავკასიაში მყოფ ბრიტანეთის ჯარების უფროსის გენერალ-მაიორ კორისაგან.

თქვენო აღმატებულებავ! მე მივიღე ლონდონიდან მათი უდიდებულების მთავრობის ბრძანება შემდეგი შინაარსისა: სადემარკაციო ხაზი გენერალ დენიკინის და კავკასიის სახელმწიფოებს შორის უნდა იყოს შემდეგი: (დამატება რუქის 32 მილი და 1 დიუმი) მდინარე ბზიბის შესართავიდან ჩრდილოეთით მდინარის ხაზის გაყოლებით სოხუმის ოლქის საზღვრამდე. შემდეგ ხაზი გატარებულ უნდა იქნას თფილისის და ქუთაისის გუბერნიების საზღვრებზე. ჩრდილოეთით და გაივლის დაღესტნის ოლქის საზღვარზე, რომელიც 5 მილით აქნება დაშორებული პეტროვსკ-კავკავის რკინის გზიდან, იქიდან ხაზი გატარებულ იქნება კასპის ზღვის ნაპირით, რომელიც ხუთი ვერსით დაშორებული იქნება ქ. პეტროვსკიდან. გენერალმა დენიკინმა მიიღო ბრძანება, რომ მისმა ჯარებმა არ უნდა გადმოლახონ აღნიშნული ხაზი.

აგრეთვე ევალებათ ამიერ-კავკასიის სახელმწიფოებს არ წაიწიონ ჩრდილოეთით წინ. ზემო მოყვანილ ცნობების თანახმად საქართველოს ჯარებმა უკან უნდა დაიხიონ სამხრეთით მდინარე ბზიბისაკენ. ამიერ-კავკასიის ჯარებმა თავი უნდა შეიკავონ ყოველივე აგრესიული ზრახვებისაგან დენიკინის მიმართ და არ უნდა შეუშალონ ხელი ნავთის წაღებაში მოხალისეთა ჯარს და მიიღონ ყოველივე ზომები, რომ არავითარი სურსათი, სანოვაგე და სხვა ხელში არ ჩაუვარდეთ ბოლშევიკებს.

ამ პირობის შეუსრულებლობა გამოიწვევს მას, რომ ბრიტანეთის მთავრობა საშუალებას იქნება მოკლებული ხელი შეუშალოს დენიკინელების წინსვლას.

იმედი მაქვს მივიღებ თქვენი აღმატებულებისაგან ცნობას გადასაცემათ მათი უდიდებულობის მთავრობისათვის, რომ თქვენი სამხედრო ძალები უკან დაიხევენ და გაჩერდებიან აღნიშნულ ხაზზე".

## ბათუმი

ადგილობრივ წრეებში გავრცელებული ხმები ვითომც ბათუმში მოხალისეთა ჯარი ჩამოსულიყოს სიმართლეს არ შეეფერება. დღემდის მოხალისეთა ჯარი ბათუმში არ ჩამოსულა. ინგლისელები ოფიციალურად აცხადებენ, რომ საზავო კონფერენცია სანამ არ გადასწყვეტს ბათუმის ბედს, მანამ ძალა უფლება ბათუმში მოკავშირეების ხელთ იქ ება და არავითარი მოხალისეთა ჯარი ბათუმში ვერ შემოვა.

**გენ. ნათიშვილი.**

ამ ხანად ბათუმში მოქმედობს დენიკის აგენტი გენ. ნათიშვილი, რომელმაც ბოლო ხანებში გამოსცა მოწოდება რუსულსა და ქართულ ენაზე. მოწოდება ასე იწყება: „მამულიშვილნო! (?) იხსენით სამშობლო ბოლშევიკებისაგან, ჩაეწერეთ მოხალისეთა ჯარში" და სხვა. მის „ტუზემნი კორპუსში" დანამდვილებითი ცნობებით ჯერ ჯერობით ჩაწერილია მხოლოდ 20-მდე კაცი, თუმცა ავრცელებენ ხმებს ვითომც 800 კაცი იყოს ჩ წერილი. მათ მიემატნენ ახლახანს ავსტრიის ტყვეობიდან დაბრუნებული სომეხი ჯარისკაცები.

**შევარდნების ჩამოსვლა.**

კვირას, თიბათვის 22 ს თბილისიდან ბათომს ეწვიენ ქართველი შევარდნები—მობურთავენი. გამოიწვიეს ბურთაობაში ადგილობრივი ინგლისელ-რუსთაგან შემდგარი რაზმი. 2 საათის შეჯიბრების დროს, რომელიც ქალაქიდან 4 ვერსის მოშორებით გაიმართა შევარდნებმა აჯობეს ბათუმელ მეზღვაურთა მობურთავეებს და ლელო ორჯელ გაიტანეს.

**ს ი ძ ვ ი რ ე.**

მიუხედავათ იმისა, რომ დიდძალი საქონელია შემოსული მოკავშირეთა ქვეყნებიდან ბათუმში მაინც წარმოუდგენელი სიძვირეა. ამის მიზეზი არის უფრო მეტად საზღვარ-გარეთის ფულით სპეკულიაცია. მეტად გასაკვირალია ერთი მოვლენა: ზოგი საქონელი ცალკე უფრო ნაკლება ღირს ვიდრე ბითუმად.

## სომხეთში

**ოსმალეთის სომეხთა პროტესტი.**

„ჟოღოვორდი ძაინი" იტყობინება, რომ თიბათვის 21-ს გუმბრში მოხდა ოსმალეთის სომეხთა მრავალ რიცხოვანი მიტინგი კ. კარასანიანის თავმჯდომარეობით, რომელზედაც გამოიტანეს შემდეგი დადგენილება: განუცხადოს სომხეთის დღევანდელ მთავრობას სასტიკი პროტესტი, იმისათვის რომ ის „თავსა სთვლის გაერთიანებულ სომხეთის მთავრობად",

მიტინგი აცხადებს რომ სომხეთის ნამდვილი მთავრობა არის პოლოს ნუბა ფაშას კაბინეთი, ხოლო ხატისსოვს მთავრობა მხოლოდ დროებითია.

მიტინგმა დაადგინა ბოიკოტი გაუცხადოს პარლამენტის არჩევნებს, სანამ გაერთიანებულ სომხეთის დამოუკიდებლობის აქტი უარყოფილი არ იქნება.

**ფულის მაზანდა.**

ფულის მაზანდა სომხეთში ასეთია: ოსმალური ლირა 560 მან. ღირს, რუსული ოქროს თუმნიანი 620 მან. „ნიკოლოზის ფული" 100 მანეთი ღირს 300 მანეთად. „კერენსკის" 1000 მან. ღირს 2400 მ. ამერიკული „ჩეკები" 340 მან.

**მთავრობის შემადგენლობის შეცვლა.**

სახალხო პარტიის მინისტრები მთავრობის შემადგენლობიდან გამოვიდნენ. ჰფიქრობენ, რომ მომავალში მთავრობა ასე შეიცვლება:

ფინანსების სამინისტრო ჯაგეტიანს ჩაჰბარდება; იუსტიციის ჩიმაშკიანს სახალხო განათლების საგარეო საქმეთა სამინისტროს შეუერთდება სასურსათო სამინისტროს ნაწილი ჩაჰბარდება გზათა სამინისტროს სამიწად მოქმედო განყოფილებას. სამინისტროში მიიწვევენ დასავლეთის სომხეთა შორის გავლენიან პირებს.

**მაკის სახინო.**

მაკის სახინოს ადმინისტრაციის ცნობით იქ მცხოვრები სპარსეთის ქვეშევრდომები არარატს იქით გადასახლებულან.

ამას წინად აქ ჩამოსულ სპარსეთის სამხედრო მინისტრს სოპედხადარს ეახლა მაკელების 40 წარმომადგენელი, და დიდხანს ესაუბრნენ. წარმომადგენელნი სთხოვდნენ მაკის სახინოს სპარსეთიდან შეერთებას.

ანალოგიურ თხოვნით მიჰმართეს ნახიჩევანის და სხვა მაზრების მოსახლეობა რომლებიც სომხეთმა ძალით შეიერთა

**ფქვილი.**

მაისის 27-დან თიბათვის 21-ამდე სომხეთში შეზიდულია 635 ვაგონი ფქვილი.

**სახალხო პარტიის კრება.**

ყარაბახის ამბების გამო შესდგა სახალხო პარტიის კრება, რომელმაც შემდეგი დადგენილება გამოიტანა: „მოეთხოვოს მთავრობას რომ მან აზერბაიჯანს პროტესტი გამოუცხადოს; მოეთხოვოს ამიერ-კავკასიაში მოკავშირეთა წარმომადგენლებს, რომ მათ დამნაშავენი სასტიკად დასაჯონ. წინადადება მიეცეს სომხეთის დელეგაციას პარიზში, რომ მან იშუამდგომლოს, რაც შეიძლება ჩქარა სომხეთის საზღვრების გამოსარკვევად.

## აზერბაიჯანი

**აზერბაიჯანის დელეგაცია ოთხთა აბჭოსთან.**

აზერბაიჯანის მთავრობის წრეებში მოსულ ცნობით აზერბაიჯანის დელეგაციამ ინახულა ვილსონი, ლოიდ ჯორჯი, კლემანსო და და ორლანდო.

**აზერბაიჯანის დელეგაცია რომში.**

როგორც მკითხველს მოეხსენება აზერბაიჯანის დელეგაცია აქედგან პირდაპირ რიისით ვერ იმგზავრა, არამედ იძულებული იყო რომზე გაეარა. აზერბეიჯანის საგარეო საქმეთა მინისტრის მიერ მიღებულ ოფიციალ ცნობით რომში დელეგაციას კარგად დაუხვდნენ. დელეგაცია მიიღო პარლამენტის თავმჯდომარემ.

**სპარსეთ-აზერბაიჯანის ურთიერთობა.**

აზერბაიჯანის მისია თეირანიდან ჩამოვიდა.

ისმაილ ხანმა დავალება მთლიანად შეასრულა. აზერბაიჯანის მისია მიიღო სპარსეთის შაჰმა და 45 წუთის ესაუბრა.

შეიკრა საფოსტო და სავაჭრო ხელშეკრულებანი.

სპარსეთის მთავრობა დასთანხმდა, რომ დაწესდეს აზერბაიჯანის მისია თეირანში და მთავარი საელჩო თავრიზში.

**ყარაბაღის დელეგაცია.**

პარლამენტის დელეგაცია ყარაბაღიდან დაბრუნდა. დელეგაციას შეუგროვებია მრავალი ცნობები ორივე მხარის დაკითხვით და საბუთების გამოძებნით. ეს ფაქტები ყარაბაღის ამბების მთლიან სურათს იძლევა. დელეგაცია ყველაფერს პარლამენტის საერთო სხდომას მოახსენებს. ყარაბაღში დღეს სრული სიმშვიდეა.

## უცხოეთის ამბები
### ჟურნალ გაზეთებდან.

**რევოლიუცია იაპონიაში**

გაზ. „აზხატავორს" მისთვის სარწმუნო წყაროებიდან ატყობინებენ, რომ იაპონიაში რევოლიუცია მომხდარა.

— გაზ. „ვესტნიკ დაღესტანში" დაბეჭდილია მთიელთა რესპუბლიკის გამყიდველ გენ ხალილოვის წერილი, საცა იგი თავს მართლულობს მოღალატობისაგან და ირწმუნება, რომ მოხალისეთა არმია არ არის მტრულად განწყობილი დაღესტნის მიმართ და მისი თავისუფლება არ იქნება შეზღუდული.

**დენიკინი და ფინეთი.**

დენიკინის საინფორმაციო ბიურომ შემდეგი ცნობა გამოაქვეყნა: „პარიზიდან საზონოვისაგან მიღებულ ცნობით, ინგლისმა და შეერთებულ შტატებმა მაისის 5-ს ფინლიანდიის დამოუკიდებლობა აღიარეს. დენიკინმა საზონოვს დაავალა რომ ამერიკისა და ინგლისის წარმომადგენლებს განუცხადოს შემდეგი: რუსეთი დიდის ყურადღებით ეპყრობა ფინეთის დამოუკიდებლობის საკითხს მაგრამ ორივე რესპუბლიკათა ინტერესი იმოდენად გადახლართულია ერთად რომ შეუძლებელია რუსეთის დაუკითხავად გადასწყდეს ეს საკითხი. ჩვენი სახელმწიფოებრივი და პირველ ყოვლისა სტრატეგიული ინტერესები მოითხოვენ რომ ეს საკითხი ამერიკის და ინგლისის აზრის თანახმად არ გადასწყდეს, ყოველ შემთხვევაში ფინეთის დამოუკიდებლობის იდეია რუსის ხალხისთვის მიუღებელია.

**ანტანტა და რუსეთი.**

გაზეთების ცნობით, ანტანტას შემდეგი გეგმა აქვს შედგენილი რუსეთის აღდგენისა. ამ გეგმით პეტროგრადის აღება განზრახულია კოლჩაკ-იუდენიჩ-ფინლანდიის ჯარით. როგორც კი კოლჩაკი და იუდენიჩი აიღებენ პეტროგრადს, ანტანტას, პარიზის რუსთა კომიტეტთან შეთანხმებით, განზრახული აქვს გამოაცხადონ პეტროგრადის ახალი სრულიად რუსეთის მთავრობა მოსკოვის საბჭოთა მთავრობის უარყოფის მიზნით. ამ ახალ მთავრობას უმალვე აღიარებენ მოკავშირენი და მაშინვე დანიშნავენ მის წარმომადგენლებს ევროპის ყველა სახელმწიფოსა და იაპონიაში. პარიზში უკვე შემუშავებული აქვთ დაახლოვებით სია ახალი კაბინეტისა. თ-დ ლვოვს წინადადება მისცეს ჩადგეს მთავრობის სათავეში. იგი ჯერ ყოყმანობს. მაკლაკოვს მოლაპარაკება აქვს სავინკოვთან. პარიზში არსებული რუსეთის ოთხივე სათათბიროს დეპუტატთა საბჭო როძიანკოს მეთაურობით თანაგრძნობით ეპყრობა ამ გეგმას პროექტს თავგამოდებით იცავს კლემანსო, ფრანგის მსხვილი კაპიტალისტები და პარლამენტის მემარჯვენე ნაწილი.

**გენ. ბრიკსის ალხარება.**

ივნისის 13-ს ეკატერინოდარში შავრაზმელმა გენერალმა დენიკინმა და მისმა ხელქვეითებმა გამოსათხოვარი ბანკეტი გაუმართეს თანამდებობიდან გადაყენებულ ინგლისის მისიის მეთაურს გენერალ ბრიკსს. დიდი ქების და სადღეგრძელოების პასუხად გენერალმა ბრიკსმა აღნიშნა: მე ღირსი არა ვარ ასეთი პატივისა. მე სალდათი ვარ და დიპლომატობისა სრულებით არაფერი გამეგება (ამაში დიდი ხანია დარწმუნებული ვიყავით. ამისთანა ვინგინდარების აბარიათ ერების ბედი)! როცა აქეთ მოვდიოდი, არ ვიცოდი ვ სად მოვდიოდი და ან რა მომელოდა. აქ მე დავრწმუნდი, რომ გენერალი დენიკინი იშვიათი კაცია და მას რუსეთის დასაპყრობად სჭირია ტანკები და პური. ტანკები მე მივეცი. პური უნდა მისცეს ყუბანმა. მე მივდივარ იმ იმედით, რომ ლონდონში უფრო მეტ სარგებლობას მოუტან დენიკინს, ვიდრე აქ ყოფნითაო,—დაამთავრა ბრიკსმა. დენიკინმა ბრიკსი რუსეთის სამხედრო ორდენით დააჯილდოვა და ამავე ბანკეტზე წაიკითხა კოლჩაკის უმაღლესი სარდლობა.

## ამიერ-კავკასიის ბანკის აქციონერთა კრება

კვირას 22 თიბათვეს, შესდგა მეორე საზოგადო კრება ამიერ-კავკასიის ბანკის აქციონერებისა იმ კითხვების გადასაწყვეტად, რომლებიც პირველ კრებაზე ვერ იქნენ განხილულნი აქციების საკმაო რიცხვის წარმოუდგენლობის გამო. თავმჯდომარეობდა გ. მაჭავარიანი. ძირითადი თანხის გადიდების შესახებ 6 მილიონიდან 15 მილიონამდე მოხსენება გააკეთა გამგეობის თავმჯდომარემ იას. ლორთქიფანიძემ. კრებამ ერთხმად და უკამათოდ მიიღო ეს მოხსენება, ხოლო თანხის გადიდების დაწვრილებითი პირობების შემუშავება მიანდო გამგეობას და საბჭოს. მეორე მოხსენება წესდების § 13 შეცვლისა და დამატების შესახებ წარმოდგენილ იქნა საბჭოს მიერ. პროექტით ბანკს ნება ეძლევა თავის ხარჯით იმგვარ აქციების და პაიების ყიდვა, გაყიდვა და დაგირავება, რომელიც ბირჟაზე არ დადიან, განთავისუფლება საქონლისა საბაჟო გადასახადისაგან და კონცესიების აღება. ერთი ჯგუფი აქციონერებისა ი. ფაღავას ხელმძღვანელობით ამტკიცებდა, რომ ამ პროექტის პირველ მუხლს უნდა დაემატოს საქონლის ყიდვა და გაყიდვის უფლებაც, რადგან ეს საკითხი განხილულ იყო საბჭოში და უნდა ჩაითვალოს საბჭოს მიერ შემოტანილათ. საბჭოს წევრების უმეტესი ნაწილი იმ აზრის იყო, რომ რადგან საქონლის ყიდვა-გაყიდვის შესახებ ხმები საბჭოში თანასწორად გაიყო და თავმჯდომარემ კი იოს. დადიანმა თავი შეიკავა, ამიტომ ეს დამატება უარყოფილად უნდა ჩაითვალოს საბჭოს მიერ და მისი საზოგადო კრებაზე განხილვა შეუძლებელიაო. კრება შეწყვეტილ იქნა რამდენიმე წუთით, კრების განახლების შემდეგ თავმჯდომარემ განაცხადა, რომ საქონლის ყიდვა-გაყიდვის შესახებ საკითხი საბჭოს მიერ შემოტანილათ არ შეიძლება ჩაითვალოს, რადგან იგი საბჭოს არ მიუღია. მხოლოდ ერთი ჯგუფი, რომელსაც თანხის ორმოცი პროც. მეტი აქცია აქვს და რომელსაც შემოუტანია მთელი ეს წინადადება თხოულობს წესდების § 70 ძალით განხილულ იქნას ეს დამატებაც საზოგადო კრებაზეო. ამიტომ ამ საკითსაც ეყრება კენჭი.

საზოგადო კრების შეკითხვაზე გამგეობის თავმჯდომარემ იას. ლორთქიფანიძემ მოახსენა კრებას, რომ გამგეობის ორი წევრი (დათეშიძე და წვერავა) მიემხრენ საბჭოს დადგენილებას, ხოლო იგი ლორთქიფანიძე წინააღმდეგია წესდების ამგვარი შეცვლისა დამატებისა. მისი აზრით, კომერციულ ბანკებს, როგორც მოკლევადიან საკრედიტო დაწესებულებებს არ შეუძლიათ დიდი თანხა დააბანდონ ისე ქონებაში, რომელიც ერთის მხრით გარეშე ხალხის მიერ არ არის ცნობილი, როგორც რეალური ღირებულება და მეორეს მხრით რომლის ჩქარი, სწრაფი რეალიზაცია შეუძლებელია, ის ქაღალდები, რომელიც ბირჟაზე არ დადიან და კურსი არ აქვთ ბანკის უმთავრესს კრედიტორებისათვის—მობარებული ფულის პატრონებისათვის—სრულიად უცნობია და ამიტომ იმათი ჩქარი რეალიზაცია შეუძლებელია. ამგვარი ქაღალდების მასსიური მიღებას შეუძლია უნდობლობა გამოიწვიოს ბანკის საქტივო ოპერაციებისადმი და დააფრთხოს მობარებული ფულის პატრონები. ამიტომაცა, რომ არც ერთ რუსეთის ბანკის წესდებაში ამგვარი მუხლები არ არის. საქონლის ბაჟისაგან განთავისუფლება არავითარ შეცვლას და დამატებას წესდებისას არ იწვევს, რადგან იგი უბრალო საქონლის ოპერაციაა და იმდენათ სასარგებლო, რამდენათაც იგი შეფასებული იქნება საქონლის ღირებულობასთან. რაც შეეხება კონცესიების აღებას, ამას დიდი ფული სჭირია და ჩვენს ბანკს ასეთი თანხის უძრავად გაჩერება რამოდენიმე წლის განმავლობაში არ შეუძლია.

კამათში ბევრმა აქციონერმა მიიღეს მონაწილეობა. წინადადებას იცავდენ ი. ფაღავა, კ. დიასამიძე, ნ. იოსელიანი და სხვა წინაღმდეგი იყვნენ ილ. ფორაქიშვილი, ზ. კიკნაძე, ს. ჭყონია. მოწინააღმდეგენი სხვათა შორის იმასაც ამბობდენ, რომ თუ ბანკმა თვით დაიწყო საქონლის ყიდვა-გაყიდვა, მაშინ იგი გადიქცევა ვ-ჭრად, რაც სრულებით არ შეეფერება არც საკრედიტო დაწესებულების ხასიათს, რომელიც უნდა იყოს ვაჭრობა მრეწველობის დამხმარე და არა თვით ვაჭარიო და არც სახელმწიფოს ინტერესებს. კენჭის ყრით პირველი მუხლი მთლად ცალკე ჯგუფის მიერ შემოტანილი დამატებით მიღებულ იქნა.

რადგან გვიან იყო ამ წინადადების დანარჩენი მუხლის განხილვა და გამგეობის წევრის არჩევნები ორი კვირით გადაიდო.

## კომპეტენცია ქართ. სამ. საზ-ბისა.

**მოხსენება ილ. აბაშიძისა *)**

რომ უფრო ცხადათ წარმოვიდგინოთ კომპეტენციის გაფართოვების აუცილებლობა—ჩვენ უნდა გვახსოვდეს ის კულტურულ მუსიკალური მიზანი, რომელიც გატარებული უნდა იყვეს საქართველოში.

ჩვენ დროებით აღვნიშნავთ მხოლოდ უმთავრეს კითხვებს:

1. ორგანიზაცია უმაღლეს და საშუალო სამუსიკო სკოლებისა.

2. ორგანიზაცია პროვინციებში, ქუთაისში, სოხუმში, ფოთში, გორში, თელავში, სიღნაღში და სხ. სამუსიკო კლასებისა და სკოლებისა.

3. ორგანიზაცია სპეციალურ სამუსიკო კურსებისა პროფესიონალურ ქალაქების და სოფლების სიმღერის მასწავლებლებისათვის.

4. ორგაიზაცია ხალხურ მომღერალ გუნდებისა.

5. ორგანიზაცია პერიოდულ ხალხურ კონცერტებისა, საუკეთესო არტისტების მონაწილეობით, როგორც ეროვნულ, აგრეთვე ევროპიულ ხელოვნების გასაცნობათ.

6 სტიპენდიების დანიშვნა, როგორც ადგილობრივ, აგრეთვე საზღვარ გარეთ, რომელსაც ორგანიზაციული ხასიათი უნდა ჰქონდეს.

7. სპეციალურ ეროვნულ ოპერის დაარსება, რომლის მოსამზადებლად საჭიროა შეიქმნას მომღერალთა და მუსიკოსთა სტუდია.

8. გამოცემა მუსიკალურ და მეცნიერულ ნამუშავარისა სამუსიკო კოლეგიის დასტურით.

9. კონკურსის და პრემიის დანიშვნა საუკეთესო თხზულებისათვის.

ქართ. სამუსიკო საზოგადოება წინამორბედი უნდა იყოს ევროპის მუსიკალურ კულტურის შემოტანაში და გააცნოს მხარეს ყველა საუკეთესო, ხელოვნური სამუსიკო ქმნილება, რისთვისაც საჭიროა სისტემატიურად გაიმართოს: კამერული, სიმფონიური, საშუალო, სახალხო-ვოკალური კონცერტები, ორატორია. ამის გარდა, წაიკითხოს ლექციები და დაიდგას ისტორიული კონცერტები.

უმთავრეს ყურადღებას მიიქცევს ქართ. სამუს. საზ-ბის მოღვაწეობა მით, რომ მან ფხიზლად ადევნოს თვალყურ ყოველ განხორციელებას, როგორც ინდივიდუალურ, აგრეთვე ხალხურ შემოქმედებასაც.

აი, პროგრამა, რომელიც უნდა განხორციელდეს ჩვენში. იმისთვის, რომ ყოველივე ზემოაღნიშნული ცხოვრებაში გატარდეს, საჭიროა იურიდიულ უფლებანი და ფინანსიური შეძლება.

გეკითხებით, შეუძლიან თუ არა ეხლანდელ ქართ. სამუს. საზოგ-ბას განახორციელოს თუნდ მეოთხედი ამ აღნიშნულ პროგრამისა, განცალკევებული რამდენიმე ათეული წევრით, მოკლებული ყოველ იურიდიულ უფლებებს, ფინანსიურ მდგომარეობას და არსებობს მხოლოდ უცაბედ შემოსავლით. ერთი სამუსიკო სკოლის ყოლაც არ ძალუძს, არამც თუ შეინახოს პროვინციის სამუსიკო სკოლები, რომელიც მხოლოდ ქაღალდზედ არის აღნიშნული.

მოკლებულია ყოველივე პოპულიარობას და ფართე საზოგადოებრივ დახმარებას. ცხადია, რომ ამ არსებულ საზ-ბას აქვს კერძო ხასიათი და პასუხის მგებელია მხოლოდ იმ რამოდენიმე ათეულის წევრების წინაშე.

ეხლა მეორე კითხვა იბადება: შეუძლიან თუ არა მარტო მთავრობის აპარატს გაუძლვეს აღნიშნულ მიზანს —არა!

განხორციელება ამ მიზნებისა შესაძლოა მხოლოდ განვითარდეს ფართო საზოგადოებრივ პირობებში—მისი წინამძღოლნი უნდა იყვნენ არა მთავრობის მოხელენი არამედ საზოგადოება.

ჩვენ მივაღწიეთ სინტესს: საზოგადოება და მთავრობა ე. ი სახელმწიფოებრიული საზოგადოება.

მთავრობა ანიჭებს იურიდიულ უფლებებს, ფინანსებს—საზოგადოება აძლევს მუშაობას.

ამნაირად, ქართ. სამუსიკო საზოგადოება კერძო მდგომარეობიდან გადადის ოფიციალურ ხალხურ—სახელმწიფოებრიულ დაწესებულებად და მხოლოდ მაშინ შეუძლიან მოიპოვოს პირველი ადგილი მუსიკალურ—კულტურის კითხვაში.

აღჭურვილი ხალხის ფულით ქართ. სამუს. საზ—ბა მოვალეა ხალხის წინაშე და ეს მოვალეობა ჰქმნის მას ოფიციალურად და სახელმწიფოებრულად.

ცხადია, რომ ასეთი ფართე და სპეციალური დანიშნულება ქართ. სამუს. საზოგადოებისა უნდა გარდაიქმნეს სპეციალისტების დახმარებით, იმ პირთ, რომელნიც მცოდნენი არიან მუსიკალურ—კულტურის კითხვაში, რისთვისაც აუცილებელ საჭიროებას შეადგენს დაარსდეს სამუსიკო კოლეგია, არჩეული საზოგადოების მხრივ. ამ კოლეგიის მუშაობა სწარმოებს ავტონომიის პირობებში. იგი წარმოადგენს მმართველ ორგანოს. წესდება გარკვევით აღნიშნავს უფლებებს და კოლეგიის მოვალეობას

*) გაგრძელება იხ. № 128

## ღია წერილი

რაც გონს მოვსულვარ, სამშობლო, მშობელი ხალხი და მშობლიური მწერლობა იყო ჩემი მასულდგმულებელი, მაგრამ გარემოებამ უცხოეთის ქვეშ, უცხო ხალხის სამსახურში დამაბერა და მხოლოდ 1917 წელს გახდა შესაძლებელი ჩემი სამშობლოში დაბრუნება.

ამის შემდეგ, მგონია, არავის გაუკვირდება, თუ ვიტყვი, რომ ბევრი მხარე საქართველოსი სრულიად არ მინახავს, ბევრგან მხოლოდ ბავშვობისას ვყოფილვარ შემთხვევით, ისიც თითო ოროლა სოფელში.

რომ ეს დიდი ნაკლი მცირედ მაინც შევავსო, განვიზრახე, ამ ზაფხულს ვისარგებლო სამსახურიდან თავისუფალ დროთი და დავიარო ზოგიერთი მათგანი. თან, სადაც კი ეს ადგილობრივ პირობების მიხედვით მოსახერხებელი იქნება, გავმართო სალიტერატურო დილა, ან საღამო და წავიკითხო ჩემი უკანასკნელი ნაწერები, რომელთაგან ბევრი ფართო საზოგადოებისათვის სრულიად უცნობია.

ამიტომ ვთხოვ ჩემ პროვინციელ თანამგრძნობთ, შემატყობინონ, სად იქნება შესაძლებელი აღნიშნულ დილის, ან საღამოს მოწყობა, რომ წინდაწინვე შევადგინო ჩემი მომავალ მოგზაურობის გეგმა და მისვლის დრო ვაცნობო მათ.

ჩემი მისამართია: ქ. თბილისი, ვარდისუბნის ქუჩა № 47, პეტროვსკის ქუჩის ზემოდ.

**დუტუ მეგრელი.**

ვსთხოვ სხვა გაზეთებსაც, გადაბეჭდონ ეს წერილი. დ. მ.

იბეჭდება:

# თამუნა

წიგნი 1.

მედიცინის დოქტორი ბერლინის უნივერსიტეტისა

**გ. გ. მეგრაბიანცი**

შინაგანი ავადმყოფობა, ჰლექისა და გულისა. იღებს ახალ რენტგენის—ელექტრო-წამლობის კაბინეტში, გასინჯვა და წამლობა X-ს სხივებით დიდი სალენიიდი და სევალის ტოკით ფილტვების, გულის და სხვა შინაგანი ავადმყოფობისათვის. ღარიბებს უფასოთ. ყოველ დღე დილის 9—1 საათამდე და საღამოს 5—8 საათამდე ბებუთოვის ქ. № 23, ტელეფონი 4—1 7—92.

სამკურნალო კაბინეთი ექიმის ალექსანდრე დავითის ძის

**მიქელიასი**

იღებს კანის, ვენერიულის და სიფილისით ავადმყოფებს (914-ს და 606-ს შეშხაპუნება). ავადმყოფთა მიღება დილის 10 საათ. 11 საათ. და საღამოს საათ. 6 საათ. მიხეილის პროსპექტი № 116, სასტუმრო „ნოე"ს პირდაპირ ტელეფონი 14—28.

სამხედრო სამინისტროს სტამბა, ლორის-მელიქოვის ქუჩა № 3.